# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 13 აგვისტო 2007 №185 (3108) ფასი 50 თეთრი


## აკირემის ნაჯახტომი

### დინამოს გაბონური სტარტი: ჩემპიონი დამარცხებულია!



ჟორჟ აკირემმა რუსთაველები პრობლემებით აიკლო

## ვისით გვეამხანაგებიან ლუქსემბურგელები

22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები სტუმრად ამხანაგურ მატჩს გამართავს ლუქსემბურგთან.

ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა საამხანაგო შემადგენლობა უკვე გამოაცხადა, გუშინ კი ქართველების დასახვედრი გაფართოებული სია ლუქსემბურგელებმაც გამოაქვეყნეს...

*შტეფან ჟილე (ჟონესი), ჯონათან ჟობერი (დუდელანჟი), მარკ ობერვაისი (გრევენმახერი), დანიელ ალვეშ და მოტა (ეტცელა), ჟილ ბეტმერი (ფრაიბურგი, გერმანია), ჟერომ ბიგარდი (დუდელანჟი), მარკ ბინსფილდი (ეტცელა), დან კოლეტე (ჟონესი), კარლოს ფერეირა (ეტცელა), ტიმ ჰაინცი (გრევენმახერი), ერიკ ჰოფმანი (ეტცელა), დანიელ ჰუსი (გრევენმახერი), აურელიენ იოახიმი (ალემანია, გერმანია), კიმ კინციგერი (დიფერანჟი), ჟოელ კიტენგე (ემენდინგენი), ალფონს ლევეკი (ეტცელა), კლაუდიო ლომბარდელი (ჟონესი), მარიო მუტში (აარაუ, შვეიცარია), რენე პეტერსი (ესპერანჟი), მირალემ პაიჩი (მეცი, საფრანგეთი), ჟაკ პლეინი (ეტცელა), სებასტიენ რემი (დუდელანჟი), ჯეფ შტრასერი (მეცი, საფრანგეთი).*



## სინათლის სხივი ქართულ ფეხბურთში



## დიმიტრი რამიშვილი მილიონებზე ალაპარაკდა

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
1 წრე. 1 ტური

# აკირემზე ნადირობა ძნელია


ჟორჟ აკირემის ასე თუ აჩერებდნენ


წამიც და, მიხეილ ხუციშვილი მეორე გოლს გაიტანს „ოლიმპის“ კარში

რუსთავი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. ფოლადი. 1 500 მაყურებელი

## ოლიმპი 0:2 დინამო

0:1 აკირემი (57), 0:2 ხუციშვილი (88)

ოლიმპი: მერლანი, აკუასაგა, სილაგაძე (დვალიშვილი 81), მახვილაძე, ორბელაძე, ნავალოვსკი, გენაძე (კოშკაძე 76), ქებაძე, ჟივკოვიჩი (დვალი 62), კახელიშვილი, რ. ჯიქია
სათადარიგონი: მ. ალავიძე, მასუანგა
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, დილმელაშვილი, ხმალაძე, კობახიძე (ოდიკაძე 76), ფეიქრიშვილი (მ. ხუციშვილი 85), გ. მერებაშვილი (სპასოევიჩი 89), აკირემი
სათადარიგონი: ლორია, თომაშვილი, ფირცხალავა, დობეში
მწვრთნელი: დუშან უჰრინი

გაფრთხილება: გ. კაშია (7), ჯიქია (64), აკირემი (75), მერლანი (78)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. კვარაცხელია

ვაჟა ხუციშვილი რუსთავიდან

მიხაელ შუმახერი თუ დაეწევა „ფერარით“, თორემ ფეხით გამოკიდებას აზრი არა აქვს, როცა ჟორჟ აკირემი გარბის. „დინამოს“ გაბონელის სისწრაფე ევებ პრემიერლიგაში, სერია A-ში ან პრიმერადივიზიონში დაიჩრდილოს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში გაჭრის, რადგან აქ უმეტესად მოედანზე გუნდური სეირნობა იმართება. და, რაც მთავარია, ამ სისწრაფეში დინამოელ ფორვარდს კარში დარტყმა და გატანა ეხერხება. „ვადუცის“ შემდეგ მან ეს რუსთავშიც დაამტკიცა.

უკვე სამი მატჩია, საქართველოს ჩემპიონს გოლი არ გაუტანია, „დინამოს“ კი პირიქით, არ გაუშვია. „ასტანასგან“ გულნატკენი „ოლიმპის“ ქომაგი ამაოდ ელოდა გოლს მეტოქის კარში და კვლავ ვერ ნახა. ჩემპიონის და ვიცეს მატჩში, ზოგადად, სანახავიც ბევრი არაფერი იყო — პირველ ტაიმში 3 მომენტი, მეორეში კი გოლების გარდა უამრავი ჯარიმა და თამაშის ხშირი წყვეტა.

მე-4 წუთზე სტუმრებმა მარჯვენიდან საჯარიმო შეასრულეს. გურამ კაშიამ ბურთი თავით მირზა მერლანისგან მარჯვენა დაბალში გაუშვა და მეკარემ კუთხიდან გამოაძრო.

„ოლიმპმა“ კონტრა კომბინაციით უპასუხა. ვლადან ჟივკოვიჩმა გიორგი კახელიშვილს ფლანგზე წაუმძღვარა ბურთი, მან კი კარის წინ ჩააბზრიალა და დიდიე ოვონოსთან პირისპირ დარჩენილი რევაზ ჯიქიას თავურის შემდეგ (ორიოდ მეტრიდან) სტადიონმა ამოიგმინა — ბურთი ხარიხას გადაევლო. ეს იყო მასპინძლების ყველაზე რეალური შანსი პირველ ტაიმში.

წუთის მერე „ოლიმპის“ საჯარიმოში „დაცხა“: ჟორჟ აკირემიმ ფინტით ჩამოიცილა მეურვე, მაგრამ უკან დააგორა ბურთი, რომელსაც გიორგი მერებაშვილმა ღრუბლებისკენ ამოსცხო.

ტაიმის მიწურულს ისევ ჯიქია და ოვონო შეხვდნენ — ოლიმპელის ახლოდან დარტყმული დინამოელმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ სტუმართა შეტევები მარჯვენაფლანგური გახდა. 50-ე წუთზე გიორგი ფეიქრიშვილი მეტოქის საჯარიმოში შევიდა და ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. სამაგიეროდ, მანვე ცოტა ხნის მერე აკირემის საგოლე პასი მიართვა. ფეიქრიშვილმა დააახლოებით ცენტრის ხაზიდან ბურთი საჯარიმოს წინ ჩააგდო, სადაც აკირემი ერთ მცველთან დარჩა და ჯერ სიჩქარე აკრიფა, მერე კი ამხტარ ბურთს მარჯვენა ლონივრად სდრუზა და მერლანისგან მარცხენა მაღალში შეაგდო.

ამის შემდეგ კარგი მომენტი ჰქონდათ მასპინძლებს, მაგრამ ჯიქიამ და დვალმა ერთმანეთს ვერ გაუგეს: ორნი აღმოჩნდნენ ოვონოსთან პირისპირ და პირველმა მეორეს პასი მიაწოდა. არადა, ისე ჩანდა, კარში დარტყმა ჯობდა.

მერე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ლაშა ქებაძემ დაჰკრა თავი და ოვონომ ცხრიანიდან მოხსნა. ჯაბა დვალის შემდეგ ვარლამ კილასონიამ ალექსანდრე კოშკაძეც და ვლადიმერ დვალიშვილიც შეუშვა შეტევის გასაძლიერებლად, მაგრამ „დინამომ“ კონტრიერიშისას გაიტანა. მიხეილ ხუციშვილი მერლანთან ერთი-ერთზე დარჩა, მარცხნივ გაიგდო ბურთი და საჯარიმოს წინა ხაზიდან ცარიელ კარში შეაგორა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბორჯომი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მესხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზესტაფონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ამერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მერანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მგლები | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# აი, კონტრაქტი!

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო.
პროფლიგა სეზონი სიახლეებით შეეგება და საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი დიმიტრი რამიშვილი პირველი ტურის შემდეგ...

— ახალი ჩემპიონატი დაიწყო და სასიხარულოა, რომ სტადიონებზე საკმაო გულშემატკივარი მივიდა. იმედი მაქვს, ასეც გაგრძელდება. ქომაგები სიახლეს ნორმალურად შეხვდნენ და ბილეთებიც გაიყიდა, რაც მისასალმებელია, მათ უნდა იცოდნენ, რომ ამით თავიანთ კლუბებს ეხმარებიან., ეს თანხა ხომ მთლიანად კლუბებს მოხმარდება...

...15 აგვისტოს უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტებს ვხვდებით, სადაც ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო კონტრაქტს გავაფორმებთ. გეცოდინებათ, რაშიც არის საქმე: ქართულ-უცხოურმა კომპანია „კოლხიდამ“, რომელიც ახლახან შეიქმნა, შემოგვთავაზა, გადავცეთ ტელე და სარეკლამო უფლებები. ამ კომპანიაში ძალიან გამოცდილი ხალხი მუშაობს. ისინი მოაწყობენ პირდაპირ ტრანსლაციებს, გააკეთებენ ჩემპიონატის მიმოხილვებს და საერთოდ, როგორც უცხოურ ქვეყნებში ხდება, ისეთ პროდუქციას მიაწვდიან მაყურებელს. „კოლხიდა“ საქართველოს გარდა სხვა ქვეყნების ტელევიზიებსაც მოიზიდავს. სამეთვალყურეო საბჭოში ასევე გაერთიანდებიან კლუბის ხელმძღვანელები. „კოლხიდა“ ქართულ ფეხბურთში ფულს დებს — სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ფიქსირებულ 300 ათას ლარს გადაიხდის, დავუმატოთ ისიც, რომ ამ კომპანიის მოგების 60 პროცენტი ქართულ ფეხბურთს ერგება. თანხები, რომელიც ჩვენ დავასახელეთ, სეზონის ბოლოს კლუბებს გადაუნაწილდება. რა თქმა უნდა, სხვადასხვა კრიტერიუმით — ლიდერებს მეტი შეხვდებათ და ეს მეტ დაძაბულობას შემოიტანს ჩემპიონატში...

...ჩვენი გათვლით, ქართული კლუბებს 3-4 წელიწადში 1 მილიონი ლარი უნდა ჰქონდეთ მოგება. კლუბების ხელმძღვანელობამ ამ სიახლის შესახებ ყველაფერი იციან და 15 აგვისტოს „კოლხიდასთან“ ოფიციალურად გავაფორმებთ კონტრაქტს.

ნუკრი ლოლაძე



# საქართველო და აზერბაიჯანი: ჯერ გლდანში.

საქართველოს და აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრებები 15 და 17 აგვისტოს ამხანაგურად რომ გაეჯიბრებიან ერთმანეთს, გეცოდინებათ.

ამჯერად კი იმას გეტყვით, რომ გაირკვა ის სტადიონი, სადაც პირველი შეხვედრა გაიმართება — 15 აგვისტოს საქართველო-აზერბაიჯანი გლდანში, „ამერის“ სტადიონზე ჩატარდება და 17.30 საათზე დაიწყება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მეორე შეხვედრის მასპინძელი სტადიონი უახლოეს დღეებში დადგინდება.

კახა ზალამბერიძე

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · I წრე. 1 ტური

ბორჯომი. 12 აგვისტო. 17.30 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

## ბორჯომი 1:0 მერანი

1:0 ჯიქია (73)

| | |
|---|---|
| ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია, მემარნიშვილი, ქარქუზაშვილი (კ. ხანიშვილი 46), ნერგაძე, ბაბუნაშვილი (შ. ჯიქია 61), თ. ლონლაძე, შ. გრიგალაშვილი, ყველაშვილი (თედიაშვილი 89) სათადარიგონი: ასაბაშვილი, გოგინაიშვილი, ლომიძე, დევიძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | მერანი: სეფიაშვილი, გ. ლოლაძე, თ. კობიაშვილი, ლომაშვილი (გიგაური 74), სარალიძე, კილასონია, ზ. ავალიანი (კობერიძე 71), ბ. ნოზაძე (ბესარაშვილი 71), ტყეშელაშვილი, ნიქარიშვილი, გ. ქორიძე სათადარიგონი: თევდორაძე, კ. ავალიანი, ვ. გოჩაშვილი, მგალობლიშვილი მწვრთნელი: თამაზ კოსტავა |

გაფრთხილება: ლოლაძე (29), ქარქუზაშვილი (40), ტყეშელაშვილი (44), ლომაშვილი (67), მერებაშვილი (74), მემარნიშვილი (74), ქორიძე (74)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. კრიჟაშვილი

# ბოდიში, რომ გაგიტანეთ!

მიხეილ ჟორჟოლიანი ბორჯომიდან

**„ბოდიშს** ვუხდი მეტოქეს, მაგრამ არა მგონია, ეს ბიჭებს განზრახ გაეკეთებინოთ. მეც ისე ვიყავი ჩართული თამაშში, არც შემიმჩნევია, მერანელი ფეხბურთელი წაქცეული თუ იყო" — განაცხადა ნამატჩევს ბორჯომელთა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ.

73-ე წუთზე ვაჟა ლომაშვილი უხერხულად დაეცა, ბურთი ბორჯომელებს დარჩათ, წუთზე მეტი იყო მერანელი ფეხბურთელი მოედანზე და მასპინძელთა ეს შეტევა შოთა ჯიქიამ გოლით დაასრულა.

„ბორჯომმა" ფეირ პლეი არ დაიცვა — ეს სიტყვები ახალგაზრული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა გადმოგვილაპარაკა.

ამ მომენტს მცირე გაწევ-გამოწევაც მოჰყვა, რის შემდეგაც მსაჯმა ორი მასპინძელი და ერთი სტუმარი გააფრთხილა.

გოლამდე „მერანი" უკეთესად გამოიყურებოდა. წესით, ბორჯომელ ფეხბურთელებს თითქოს არ უნდა გაჭირვებოდათ მეტოქის დამარცხება, მაგრამ შეუთამაშებლობა აკლდათ — გუნდი სრულად სულ ოთხი დღის შეკრებილი იყო, ხაჩიძემაც მატჩის მსვლელობისას სამჯერ გადააწყო ტაქტიკა.

„მერანი" პირიქით, უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებს ტოვებდა და, სულ ცოტა, ქულას მაინც იმსახურებდა. მარტო მანუჩარ წიქარიშვილს სამჯერ შეეძლო გატანა, თუმცა რეალური მომენტები ბორჯომის ნიავს გაატანა. ორჯერ მართებდა გატანა გიორგი ქორიძესაც.

მასპინძელთა მხრიდან შოთა ბაბუნაშვილის შორეული გასროლა, რომელიც კონსტანტინე სეფიაშვილმა მოიგერია და ჯიქიას პირისპირ დარჩენა იყო გამოსარჩევი.

და იყო კიდევ ერთი ფეხბურთელი — შოთა გრიგალაშვილი. ახალგაზრდული ნაკრების წევრი ორივე გუნდში გამორჩეული იყო. პასებიც მწვავე აკეთა და მცველებიც საკმაოდ ანერვიულა. ბოლო წუთზე კი ჯარიმით ხარიხაც შეაზანზარა.

პეტარ სეგრტმა, გრიგალაშვილი საუკეთესო იყო და მიხარია, მნიშვნელოვანი მატჩის წინ კარგ ფორმაში რომ არისო.

### პრესკონფერენცია

თამაზ კოსტავა: გახსნის მატჩი ყოველთვის რთულია, თუმცა, ვფიქრობ, წაგებას არ ვიმსახურებდით. რაც დღევანდელ მატჩში მოხდა, მსგავსი არსად მინახავს.

ვლადიმერ ხაჩიძე: გუნდი ახალი შეკრებილია, შეთამაშება გვაკლია. „მერანი" მომეწონა, სამ-თოხ ტურში ეს გუნდი უფრო გამართულ ფეხბურთს ითამაშებს.

# ბესიკ კოდალაევმა არწივივით იფრინა
## უძახე სელექცია და კი გამოვიდა ლექცია

ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან

**ახალი** სეზონის დაწყება ბოლნისის გამგეობამ გულშემატკივრებს თამაშზე უფასოდ დასწრებით მიულოცა — მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები მუქთა აღარ გახლავთ: ბილეთები იყიდება.

ჩემპიონატი მართლაც საზეიმოდ გაიხსნა: ქართული ცეკვა, ეროვნული ჰიმნი და საქართველოს დროშა...

პირველ ნახევარში „სიონი" უტევდა, „სპარტაკი" თ ავს იცავდა და შიგადაშიგ კონტრშეტევაზე გადადიოდა, რეალური საგოლე შანსი 26-ე წუთზე ვალერი გაგუას მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ ბესიკ ქარდავას მიეცა, მაგრამ მისი დარტყმა ძალიან სუსტი იყო და ბესიკ კოდალაევსაც ალება არ გასჭირვებია.

მე-40 წუთზე კი ქარდავამ შანსი აღარ დაკარგა, გაგუას ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი ცხინვალელთა კარში თავით გაიტანა — 1:0.

მეორე ნახევარშიც მასპინძლები უფრო ყოჩაღობდნენ, ლევან სანიკიძის გადაცემის შემდეგ არჩილ ნოზაძეს გატანაც მართებდა, თუმცა ხეირიანად დარტყმა ვერ მოახერხა და... ბოლნისელთათვის ძალიან მოულოდნელი რამაც მოხდა — ცხინვალელმა თორნიკე თარხნიშვილმა ძალიან იოლად გაუარა რამდენიმე ბოლნისელს და ცხრიანში გაუტანა მინდია ბობლიაშვილს. 57-ე წუთი და 1:1.

„სიონმა" ვერმოგების საფრთხე იგრძნო და გააფთრებით შეუტია. ნოდარ აკობიამ მანუჩარ კვიციანი ჩართო თამაშში. მალე ის სანიკიძისგან იღებს კარგ გადაცემას, თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანს, მაგრამ როგორ ვერ მოახერხა დარტყმა, ალბათ, თავადაც გაკვირვებული იქნება. შემდეგ კვიციანი აწვდის და რაქვიაშვილის თავური კარს სცდება. „სპარტაკის" საჯარიმოში რამდენიმე მცველს შორის მოქცეული კვიციანი დაეცა. მასპინძლები პენალტს ითხოვენ, კობა ჭაჭუას სასტვენი კი დუმს. აკობიას ახლახან ტრანსფერზე დაყენებული ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემი შეჰყავს. ფრიდოლინმა გაშლილი ფეხით მოცელა ლაშა მამუკაშვილი და ყვითელი ბარათიც მიიღო. ამ დროს ცხინვალელთა მეკარე კოდალაევმა ნახევარი მოედანი გადაირბინა, აფრიკელს უფრო კორექტულად თამაში მოსთხოვა და გუნდებმა მცირე გაწევ-გამოწევაც გამართეს, რაც კოდალაევის ყვითელი ბარათით დასრულდა. ბოლო წუთებია, ბოლნისელთა მცველი გიორგი თავბერიძე ცხინვალელთა საჯარიმოში აწვდის ბურთს, ქარდავა კართან ძალიან ახლოსაა, მაგრამ მის დარტყმულს სასწაულებრივ იგერიებს კოდალაევი, შემდეგ ჩასემი ამატებს და მეკარე ისევ ბრწყინვალეა. მესამე ცდაზე კი კვიციანმა ბურთი ბადეს გარედან მოარტყა.

მატჩი დასრულდა და ბოლნისელი გულშემატკივრები გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ მსაჯობის გამო. კლუბის პრეზიდენტსა და რაიონის გამგებელს გია დაუშვილს დიდი საყვედური უთქვამს მსაჯებისთვის, ეს რა მსაჯობა იყოო.

ბოლნისი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია. 300 მაყურებელი

## სიონი 1:1 სპარტაკი

1:0 ქარდავა (40), 1:1 თარხნიშვილი (57)

| | |
|---|---|
| სიონი: ბობლიაშვილი, თავბერიძე, ოქროპირიძე, სვანიძე, რაქვიაშვილი, სანიკიძე, ლ. ბაჯელიძე, გ. ვაშაკიძე (ფრიდოლინი 65), გაგუა (ჩასემი 74), ქარდავა, ნოზაძე (კვიციანი 59) სათადარიგონი: იაშვილი, მენთესაშვილი, რეხვიაშვილი, ქურასბედიანი მწვრთნელი: ნოდარ აკობია | სპარტაკი: კოდალაევი, კეტაშვილი, პარამონოვი, ხაჭიპერიძე, მამუკაშვილი, ხიდეშელი, თარხნიშვილი, გოგოხია (ჯანელიძე 46), ძარია (ბახტურიძე 74), ჩირიკაშვილი, გოგოლაძე (დარბაიძე 46) სათადარიგონი: ქჟილითაია, მედოევი, ცქვიტაია, ივანიშვილი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |

გაფრთხილება: ბაჯელიძე (43), კვიციანი (75), ფრიდოლინი (80), კოდალაევი (80)

მსაჯები: კ. ჭაჭუა, ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე, ლ. სილაგავა

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე

### პრესკონფერენცია

*კობა ჟორჟიკაშვილი:* დაძაბული თამაში გამოვიდა. მეტოქემ ბევრ კომპონენტში გვაჯობა და ეს ლოგიკურიც იყო. ჩვენ ვაგრძელებთ სელექციას. „სპარტაკში" ძირითადად ახალგაზრდები თამაშობენ და ისინი ნელ-ნელა შეეჩვევიან უმაღლეს ლიგას. ბესიკ კოდალაევმა რამდენიმე რთული ბურთი აილო და საერთოდაც, დღეს ფორტუნა ჩვენს მხარეზე იყო.

*ნოდარ აკობია:* არ გაგვიმართლა და ვერ მოვიგეთ. მსაჯობაზეც ვიტყვი ორ სიტყვას. უკმაყოფილო ვარ. კვიციანი რომ წააქციეს, ჩემი აზრით, პენალტი იყო.

# ამირანი სიმართლის კლდეზე: თამაში კი არა, წვალება იყო

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

**მატჩის** დებიუტში ღელვანერვიულობა და შეცდომები აშკარა და საკმაო იყო, მერე მასპინძლები უფრო მალე დამშვიდდნენ, მწყობრად შეუტიეს და პირველი სახიფათო მომენტიც შექმნეს. ბექა ჩიტაიამ და საბა სულთანიშვილმა კუთხური გაითამაშეს, საჯარიმოში ჩაწოდება და ყველას ზაზა ლაცაბიძემ დაასწრო, მაგრამ მისი თავური არაზუსტი იყო. ბათუმელებმა „დილას" შეტევებს კონტრშეტევებით უპასუხეს, მაგრამ კარში პირველად მხოლოდ 21-ე წუთზე დაარტყეს: დაახლოებით 30 მეტრიდან გიორგი მოდებაძემ უვნებელი საჯარიმო შეასრულა. ორ წუთში მანვე იაქტიურა ფლანგზე, ჩააწოდა კიდეც „დილას" საჯარიმოში, მაგრამ მაკარიანმა სუსტად დაარტყა.

გორელები დაფაცურდნენ, შეტევას უხშირეს და შედეგმაც არ დააყოვნა. 27-ე წუთზე ბათუმელებმა მოედნის ცენტრში დაკარგეს ბურთი, ამას მოჰყვა გურამ სამადაშვილის რეიდი სტუმართა საჯარიმოში, რომელმაც კარიდან გამოსული თოთლაძე მოატყუა და საგოლე პასი გაუკეთა მეკარის ბაქანზე მარტოდ დარჩენილ ჩიტაიას — 1:0.

სამიოდე წუთის შემდეგ შეიძლებოდა, ანგარიში გაზრდილიყო — თოთლაძეს ხელიდან გაუვარდა სულთანიშვილის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი, რომელიც ბოლოს კუთხურზე გადავარდა. ტაიმის ბოლოს კიდევ ორი მომენტი შეიქმნა. 42-ე წუთზე კვლავ სულთანიშვილმა დაარტყა საჯარიმო მოედნის კუთხიდან შეუჩერებლად და უძლიერესად, მაგრამ ოდნავ არაზუსტად, 45-ზე კი ბათუმელმა მოდებაძემ მახვილი კუთხიდან დაარტყა ძლიერად, მაგრამ ილურიძემ ბურთი მოიგერია.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი შეიცვალა. სტუმრები გაცილებით გააქტიურდნენ, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტები თითქმის არ შეუქმნიათ, რადგან მასპინძლებმა აქცენტი ანგარიშის შენარჩუნებაზე გადაიტანეს. ანგარიშიც პირველი ნახევრისა დარჩა და ერთადერთი გოლის წყალობით „დილამ" სეზონი გამარჯვებით დაიწყო.

გორი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა 1:0 ბათუმი

1:0 ჩიტაია (27)

| | |
|---|---|
| დილა: თ. ილურიძე, ბალაშვილი, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალიაშვილი, სადალაშვილი, ლაცაბიძე, შატაკიშვილი (ტლაშაძე 77), სულთანიშვილი (კურტანიძე 84), სამადაშვილი, ბ. ჩიტაია (ნ. ნოზაძე 60) სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, ი. თავაძე, იჩქითი, შერმადინი მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | ბათუმი: თოთლაძე, კუნჭულია (დემურიძე 57), მაკარიანი, გალოგრე, კ. მახარაძე, გ. ოქრუაშვილი (ლ. მახარაძე 32), ცანავა, დარჩიძე, ბეჟანიძე, მოდებაძე სათადარიგონი: მამინაშვილი, ტულუში, ბაციკაძე, ა. ბაჯელიძე მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |

გაფრთხილება: ბალაშვილი (22), კ. მახარაძე (37), დ. ხანიშვილი (47), ჩიტაია (60), ბალაშვილი (61)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, თ. ხუჭუა, ი. მაჩიტაძე, ო. ხეცაძე

დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე

### პრესკონფერენცია

*ამირან გოგიტიძე:* გილოცავთ სეზონის დაწყებას, ჩემს კოლეგას გამარჯვებასაც მივულოცავ. რაც შეეხება თამაშს, ჩვენი მხრიდან თამაში თითქმის არ ყოფილა, იყო წვალება."

*მამუკა ვარდოსანიძე:* კარგი კია, რომ მოვიგეთ, მაგრამ ბევრი ხარვეზი გვქონდა და უნდა გამოვასწოროთ, თორემ გაგვეჭირდება. ვაპირებთ, რამდენიმე მოთამაშე დავიმატოთ.



საქართველოს ეროვნული ნაკრების მსგავსად, 22 აგვისტოს მატჩი აქვს ახალგაზრდულ ნაკრებსაც. „დიდები" თუ ლუქსემბურგს ამხანაგურად გაეჯიბრებიან, პეტარ სეგრტის გუნდს მეტად მნიშვნელოვანი თამაში ელის პოლონელ ახალგაზრდებთან. მოგეხსენებათ, ევროშესარჩევი ციკლის პირველ ტურში ქართველები ესპანელ თანატოლებთან 0:1 დამარცხდნენ. ახალგაზრდული ნაკრების ხორვატ თავკაცს მატჩისწინა ამბებზე ვესაუბრეთ...

# პრობლემური პრობლემები

## ტოპმიოლერი საქართველოს ჩვენი თვალებით უყურებს

— პოლონელებთან სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით. რამდენიმე დღის წინ თურქეთში „ტრაბზონსპორს" გავეჯიბრეთ და 0:2 დავმარცხდით, მაგრამ ბიჭების თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ჩვენთან პირველად ითამაშა მეკარე გიორგი მაკარიძემ და მომეწონა, კარგები იყვნენ უჩა ლობჟანიძე და ბექა გოცირიძეც. ბოლო ათი წუთი ითამაშა თარგამაძემ და თავი მანაც მშვენივრად წარმოაჩინა. ახალი მოთამაშეები გავსინჯეთ და ეს პროცესი გაგრძელდება. არავინ იფიქროს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში მხოლოდ საქართველოს წამყვანი კლუბებიდან შეიძლება მოხვედრა. რამდენიმე ფეხბურთელი პირველი ლიგიდან ახლაც გამოვიძახეთ და მომავალშიც მივცემ თავის გამოჩენის საშუალებას.

— პოლონეთში წამსვლელთა სიას როდის გამოაქვეყნებთ?

— გვაქვს გაფართოებული სია, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში კიდევ დავაკვირდები ფეხბურთელებს და შემდეგ ვიტყვი.

— ამ სიაში ბევრია ისეთი, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ?

— ეს ჩვენი დიდი პრობლემაა. თუმცა პოლონელებთან მაინც მათ მოუწევთ თამაში — სხვა გზა არ გვაქვს.

— ყველაზე მეტად რომელ სათამაშო რგოლში გიჭირთ?

— თავდასხმაში. ზოგს ტრავმა აწუხებს, ზოგიც კლუბში არ თამაშობს. მაგალითად, რევაზ ბარაბაძე. მან ვერა და ვერ მოაწერა „კარლ ცაისთან" კონტრაქტს ხელი, ბექა გოცირიძე უკლუბოდაა, ლადო დვალიშვილიც არ თამაშობს სისტემატურად, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით მაქსიმუმის გაკეთებას.

— პოლონელებზე რა ინფორმაციას ფლობთ?

— DVD-ზე ვნახეთ მათი თამაშები, ვესაუბრეთ თურქეთისა და ჰოლანდიის ნაკრებების მწვრთნელებს, რომლებსაც პოლონელები შეხვდნენ. საკმაოდ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, ნორმალური კლუბებშიც გამოდიან, მაგრამ სუსტი მხარეებიც აქვთ და ამის გამოყენებას შევეცდებით.

— ნაკრების კანდიდატთა თამაშებს ესწრებით ხოლმე. კიდევ საიდან გაქვთ ინფორმაცია ფეხბურთელებზე?

— ვცდილობთ, ყველა მოთამაშე ჩვენი თვალით ვნახოთ, ევროთასებზე ყველა ქართული გუნდის მატჩებს შეძლებისდაგვარად დავესწარი. „დინამოს" „ვადუცთან" სტუმრად გამართული შეხვედრაც ვნახე. ფედერაციამ და ნაკრების თავკაცებმა შევიმუშავეთ გეგმა, რათა ყველა ქართული გუნდის მწვრთნელთან გვქონდეს ახლო კონტაქტი. ამ დღეებში შევხვდით დუშან უჰრინს, ვარლამ კილასონიას, გიორგი ჩიხრაძეს და ასეც გავაგრძელებთ. უშუალოდ მათგანაც მივიღებთ დამატებით ინფორმაციას.

— თქვენ საქართველოში ცხოვრობთ. ხომ არ იცით, რატომ „გაგვინაწყენდა" ასე კლაუს ტოპმიოლერი, რატომ არ ჩამოდის საქართველოში?

— მისი ერთ-ერთი თანაშემწე ვარ, მერწმუნეთ, მე იმიტომ ვცხოვრობ აქ, რომ ყველა ფეხბურთელზე მივაწოდო ინფორმაცია. ჩვენ 15 წელია ვთანამშრომლობთ და იგი თვალდახუჭული მენდობა. 16 წლიდან დაწყებული, ყველა ასაკის ფეხბურთელს ვაკვირდები და ვაწვდი ცნობებს. ასე რომ, ტოპმიოლერმა აქ ჩამოუსვლელადაც ყველაფერი კარგად იცის.

**ნუგზარ ლოლაძე**
**ნინო სილაგაძე**

# პოლონეთმა 23 თქვა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები 22 აგვისტოს პოლონეთს ესტუმრება და ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს. ეს საქართველოს ნაკრების მეორე თამაში იქნება ამ შესარჩევში. პირველი კი, გეხსომებათ, ესპანელ თანატოლებთან ჩვენებმა დაძაბულ ბრძოლაში 0:1 დათმეს.

საქართველოს ნაკრების თავკაცი პეტარ სერგტი შემადგენლობას დღეს-ხვალ გამოაცხადებს.

სანამ სეგრტი რჩევაშია, პოლონელებმა უკვე ის 23 ფეხბურთელი დაასახელეს, რომელიც ჩვენებთან მატჩისთვის მოემზადება, თუმც გაცხრილვა მათაც მოუწევთ, რადგან განაცხადში სულ 18 მოთამაშე უნდა იყოს.

23-კაციანი სია კი ასეთია: *პიოტრ პოლშკა (კატოვიცე), ადამ დანჩი, მარიუშ პაველეცი (გურნიკი), ამადეუს კლოდავსკი, რადოსლავ მაიეკი [illegible] ([illegible]), [illegible] ლკი (კრონა?), [illegible] კი (ოდრა?), ვოიტეხ [illegible]კი (ბელხატუვი), ლუკაშ ჩანოშკა (რუხი), ბარტოშ ბიალკოვსკი (საუთჰემპტონი, ინგლისი), პიოტრ კუკლისი, კრჟიშტოფ სოკალსკი (ვიძევი), ადრიან ბიენკი, პიოტრ გვიელონგი, ადამ კოკოშკა, პატრიკ მალეცკი, ადრიან მიერზეიევსკი (ვისლა), პრჟემისლავ კოცოტი, ჟიმიან პავლოვსკი, მარტინ პიეტროინი (ზაგლებე).*

როგორც ხედავთ, გუნდში სულ ერთი ლეგიონერია, საუთჰემპტონელი ბარტოშ ბიალკოვსკი, დანარჩენები პოლონეთის ჩემპიონატში თამაშობენ.

პოლონელები კრაკოვში 20 აგვისტოს შეიკრიბებიან. მატჩი კი 22 აგვისტოს პატარა ქალაქ ზაბიერზოვიეში გაიმართება და 16 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დაიწყო: ბჟალავა და კანკავა დაშავდნენ!

**ავსტრიის** პირველი ლიგის „ლუშტენაუს" ნახევარმცველმა მირზა ბჟალავამ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. წინასწარი ცნობით, ბჟალავა ფეხბურთს ხუთი კვირით ჩამოშორდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ პეტარ სეგრტს 22 აგვისტოს პოლონელ ახალგაზრდებთან თამაშისთვის პრობლემები მიეძალა — რამდენიმე დღის წინ დაიმტვრა ჯაბა კანკავაც, ვისიც სეგრტს ძალიან ეიმედებოდა.

მოგეხსენებათ, ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელები, რატი წინამძღვრიშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე და ლევან მჭედლიძეც ტრავმირებულები არიან.

**ნუგზარ ლოლაძე**



მირზა ბჟალავა



ჯაბა კანკავა

# ქართველები უცხოეთში

# ახალი ქართველების ახალი გოლები

## როდის ნახეთ ბოლოს დემეტრაძის დუბლი?



გიორგი დემეტრაძე

**ამ** უქმეებზე უცხოეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს საკმაოდ ბარაქიანი მონაგარი ჰქონდათ და ჩვენც მათზე ვთქვათ...

გერმანიის ბუნდესლიგის ახალი სეზონის პირველი გოლის ავტორი ლევან კობიაშვილი შეიქნა. ჩვენებურმა „შალკე" კი დააწინაურა ჩემპიონ „შტუტგარტთან" მატჩში, მაგრამ მერე გელზენკირხენელებმა უპირატესობა ველარ შეინარჩუნეს და ფრეს გამორჩნენ — 2:2.

სამწუთიანი დებიუტი ჰქონდა ახალ გუნდში ალექსანდრე იაშვილს, რომლის „კარლსრუემ" სტუმრად 2:0 მოუგო თასის მფლობელ „ნიურნბერგს".

მეორე ბუნდესლიგაში კი დებიუტი ჰქონდა ილია კანდელაკს. მისმა იენის „კარლ ცაისმა" საწყის ხუთ წუთში მიღებული ორი ბურთი ამოუქაჩა „ალემანიას".

გიორგი ონიანის დებიუტი გადაიდო — ამ მატჩში იგი სათადარიგო იყო.

უკრაინის ჩემპიონატში გოლების გემო გაიხსენა გიორგი დემეტრაძემ, ახალ გუნდ კიევის „არსენალში" კი ეს სულაც პირველი გოლები იყო. „არსენალმა" ოთარ მარცვალაძის „ზაკარპატიე" 7:0 გაანადგურა. დემემ მეორე და მეოთხე გოლები შეაგდო.

განაცხადში კი მოხდა, მაგრამ სათადარიგო დარჩა საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია. მისი დებიუტი ლვოვის „კარპატის" შემადგენლობაში მომავლისთვის გადაიდო.

ლიტვაში კი თავი ორივე კვარაცხელიამ გამოიჩინა.

გივი კვარაცხელიამ და „კაუნასმა" სტუმრად 4:0 მოიგეს „სუდუვას" ჩვენებურის ანგარიშზე მესამე გოლია. თუ გივის გოლებს ლიტვაში მიჩვეულნი არიან, თავის გოლებს სათავე დაუდო ვახტანგ კვარაცხელიამაც, რომელსაც „ვეტრაში" დებიუტი წინა ტურში ჰქონდა, გუშინ კი მეორე მატჩში გოლიც გაიტანა. „ვეტრამ" სტუმრად 3:1 მოუგო „შილუტეს" — ქართველმა მესამე გოლი გაიტანა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გერმანიის ღია ჩემპიონატი ბრაუნშვაიგი. 11-12 აგვისტო



გიორგი ბაინდურაშვილი
მსოფლიოს ჩემპიონატს მიუახლოვდა

## ახალი ქართველი

### ლევან წიკლაურმა გერმანული ოქრო გერმანიაში დატოვა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად მონათლულ ტურნირზე — გერმანიის ღია პირველობაზე — საქართველოს ძიუდოს ნაკრები რვაკაციანი შემადგენლობით ჩავიდა. ერთი მოჭიდავე კი შოთა ხაბარელის გუნდს თავისი სურვილით დაემატა და... საუკეთესო ქართული შედეგი აჩვენა. ბრაუნშვაიგში ამ უქმეებზე ჩატარებულ ტურნირზე კიმონო ევროპის თითქმის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოირგო. ამ ეტაპზე ყველას მთავარი საფიქრალი სასექტემბროდ მომზადება და მეტოქეების დაზვერვა იყო. ბევრიც შიდა სანაკრებო კონკურენციაში გასალიდერებლად ღვრიდა ოფლს. მედალს, ცხადია, თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, ზოგიერთმა ძიუდოისტმა გერმანულ კვარცხლბეკზე ასვლას გადამწყვეტ მომენტში ჭიდაობის დამალვა და ამით ჩრდილში დარჩენა არჩია. ეს მხოლოდ ვარაუდია, თუმცა ვფიქრობთ, სიმართლისგან არც ისე შორს დგას.

საქართველოს ნაკრების წევრებისგან გერმანიის ღია პირველობაზე შედეგს გამორჩეული მნიშვნელობა 81 კილოგრამის და აბსოლუტური წონითი კატეგორიის წევრებისთვის ჰქონდა. სწორედ ამ ორ წონაშია ხაბარელის გუნდი დასაკომპლექტებელი. დანარჩენ ექვსში კი ლიდერი ბრაუნშვაიგამდე იყო გარკვეული.

რიო დე ჟანეიროს საგზურის კანდიდატებიდან მხოლოდ მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი აკლდა ნაკრებს. მსოფლიოს პრიზიორი ახლა ბანგკოკშია მსოფლიოს უნივერსიადაზე და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მის იქაურ შედეგს გაითვალისწინებს. ადამის კონკურენტი ზვიად ხანჯალიაშვილი კი უმედლოდ დარჩა.

ზვიადს ერთადერთხელ მოუხდა ტატამზე გასვლა, რადგან მისმა მოგებმა გერმანელმა სებასტიან ბიორმა ნახევარფინალს ვერ უწია. ამრიგად, აბსოლუტურ წონაში ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, ვიდრე კიმონოს ოქრუაშვილიც არ მოირგებს.

81 კილოგრამში კი მსოფლიოს არჩევანი გიორგი ბაინდურაშვილსა და საბა გავაშელიშვილს შორის უნდა გაკეთდეს. შოთა ხაბარელს გადაწყვეტილება ეგებ უკვე მიღებულიც ჰქონდეს. ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორობა ვერც ერთმა ვერ შეძლო, უკეთესი ადგილი კი ბაინდურაშვილმა დაიკავა.

გიორგიმ შეჯიბრი პორტუგალიელი ჟოაო ნეტოს ძლევით დაიწყო. მერე ზედ ბრიტანელი ტომ რიდი და რუსი სირაჟუდინ მაგომედოვიც მიაყოლა და ნახევარფინალში გასასვლელ შეხვედრაში გერმანელ ნიკ ჰეინს დაეჭიდა. ოქროსთვის ბრძოლა მასპინძელმა განაგრძო, ხოლო ჩვენებური რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოსთვის ბრძოლას კი ბაინდურაშვილი ფრანგმა ენტონი ფრიჩმა ჩამოაცილა.

გავაშელიშვილს პირველსავე წრეში გამოცდილი ფრანგი დანიელ ფერნანდესი შეხვდა, მაგრამ პრობლემა ვერ შეუქმნა. ასეთი დასაწყისის შემდეგ ქართველისგან შვეიცარიელ კრისტოფ კელერთან მარცხს ცოტა თუ ელოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე მოხდა. კელერმა მოგვიანებით არათუ ნახევარფინალს, ფინალსაც მიაღწია და ჩვენებურს ბრინჯაოს გზა გაუხსნა. თუმცა რეპეშაჟში გერმანელმა სვენ მარეშმა მოუგო.

სწორედ 81 კილოგრამში დაემატა ნაკრებს ლევან წიკლაური. გერმანულ კლუბში მოვარჯიშე ქართველი აქამდე ნაკრების რეალურ კანდიდატებში არ სახელდებოდა. ბრაუნშვაიგში ჭიდაობის შემდეგ კი ლევანი აშკარად ჩაეწერება ხაბარელის სიაში.

წიკლაურმა ექვსი შეხვედრა მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა. საჩემპიონო გზა ასეთი იყო: მოლდოველი ვალერიუ დუმინიკა, ბელგიელი ტიმ ვან გლაბეკი, რუსი სალამუ მეჯიდოვი, ფრანგი ენტონი როდრიგესი, გერმანელი ნიკ ჰეინი და კრისტოფ კელერი.

სხვა ჩვენებურთაგან საუკეთესო შედეგი ზაზა კედელაშვილმა აჩვენა. ევროპის ორგზის ჩემპიონს მწვრთნელმა ამჯერად მომატებული წონა არ დააკლებინა და მშობლიური 66 კილოგრამის ნაცვლად 73-ში აჭიდავა. ზაზამ თავი არც იქ შეირცხვინა — მხოლოდ ფინალში წააგო ყაზახ რინატ იბრაგიმოვთან და ვერცხლის მედალი აიღო. ფინალამდე კი ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილა ავსტრიელი ჰერმან იოლვაარტი, რუსი დიმიტრი მიაკინინი, ლატვიელი გატის მილენბერგსი და ამერიკელი ჩაკ ჯეფერსონი.

უმსუბუქეს წონაში მოჭიდავე ბეთქილ შუკვანს მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. ნახევარფინალში უძლიერეს ავსტრიელთან, ლუდვიგ პაიშერთან მარცხის შემდეგ რეპეშაჟის ფინალში ყაზახ სალამატ უტარბაევთან წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. ამ ორ ბრძოლამდე კი შუკვანმა რუს არტურ მუსლიმოვს, პორტუგალიელ პედრო იაკინტოს და ლატვიელ დენის კოზლოვსს აჯობა.

მეხუთე ადგილზე გავიდა ირაკლი ცირეკიძეც. ევროპის ვიცე-ჩემპიონიც, კედელაშვილის მსგავსად, ერთი წონით მაღლა გამოვიდა. ავსტრიელი ფრანკ ბირკფელნერის ძლევის შემდეგ 100 კილოგრამის ევროლიდერს, რუს რუსლან გასიმოვსაც გადაუკეტა ოქროს გზა. ზედ ფინელი რაულ კარპენენიც მიაყოლა, მერე კი ნახევარფინალში გადასასვლელი შეხვედრა მომავალ ჩემპიონთან, ჰოლანდიელ ჰენკ გროლთან წააგო. რეპეშაჟში ირაკლიმ აზერბაიჯანელ ფარიზ რამიზადს და სლოვაკ ზოლტან პალოვაცს აჯობა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი მასპინძელთა ჯილასთან, მიხაელ იურაკთან დამარცხდა.

ამავე წონაში ლევან ჟორჟოლიანი მეცხრე ადგილზე გავიდა. პირველად ისიც იურაკმა შეაჩერა, ხოლო ბრინჯაოს შანსი უკრაინელმა კირილ ვოლკოვმა წაართვა. ამ ორ შეხვედრამდე ჩვენებურმა ფინელ ტომი იარკოლას და ფრანგ კირილ მარეს მოუგო.

ჟორჟოლიანი მეცხრე ადგილზე გავიდა, ისევე როგორც მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი. ქართველი ფრანგ ჟან-სებსტიან ბონვუასინსა და გერმანელ ნიკო კანინგს კი გასცდა, მაგრამ მერე უნგრელ ბარნა ბორთან და გერმანელ ანდრეას ტოლცერთან დამარცხდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**60 კგ**

1 ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)
2 რუსლან კიშმახოვი (რუსეთი)
3 სალამატ უტარბაევი (ყაზახეთი)
3 დენის კოზლოვსი (ლატვია)

5 ბეთქილ შუკვანი (საქართველო)

**66 კგ**

1 ალიმ გადანოვი (რუსეთი)
2 მილოშ მიხალკოვიჩი (სერბეთი)
3 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
3 ვლადიმირ სოროკა (უკრაინა)

**73 კგ**

1 რინატ იბრაგიმოვი (ყაზახეთი)
2 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
3 ჩაკ ჯეფერსონი (აშშ)
3 ტომაშ კრეციელევსკი (პოლონეთი)

**81 კგ**

1 ლევან წიკლაური (საქართველო)
2 კრისტოფ კელერი (შვეიცარია)
3 კონსტანტინ სიამენაუ (ბელარუსი)
3 სვენ მარეში (გერმანია)

9 გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)

13 საბა გავაშელიშვილი (საქართველო)

**90 კგ**

1 მარკ ჰუიზინგა (ჰოლანდია)
2 სერგეი აშვანდენი (შვეიცარია)
3 ვინსტონ გორდონი (ბრიტანეთი)
3 ვიქტორ სმენოვი (რუსეთი)

**100 კგ**

1 ჰენკ გროლი (ჰოლანდია)
2 ასლან უნაშხოტლოვი (რუსეთი)
3 დიმიტრი პეტერსი (გერმანია)
3 მიხაელ იურაკი (გერმანია)

5 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)

9 ლევან ჟორჟოლიანი (საქართველო)

**+100 კგ**

1 მარტინ პადარი (ესტონეთი)
2 ბარნა ბორი (უნგრეთი)
3 გრიმ ვუისტერსი (ჰოლანდია)
3 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)

9 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)

13 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)



ბიბლიოთეკა

# მაგარსაფარის მაგარი კაცი



ნოვაკ ჯოკოვიჩმა რაფაელ ნადალი კორტზე დასვა და არ აუშვა





**კაცები**
მონრეალი. კანადა.
მასტერსის სერია. ჰარდი.
საპრიზო 2 450 000 $

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ფრანკ დანსევიჩი (კანადა) 4:6 6:2 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ენდი როდიკი (5, აშშ), 7:6 6:4; **რადეკ შტეფანეკი** (ჩეხეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 6:4 7:5

### ნახევარფინალი

**ფედერერი** — შტეფანეკი 7:6 6:2; **ჯოკოვიჩი** — ნადალი 7:5 6:3

გაზაფხულზე, ფლორიდის შტატში, მაიამის სიახლოვეს მდებარე კი ბისკაინში გამართული მასტერსის ფინალში ჯეელმა სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა რაფაელ ნადალს მოუგო. მაშინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი ნაადრევად დამარცხდა არგენტინელ გილერმო კანასთან და ასე ითქვა, აწი ნადალს ვინლა გააჩერებსო.

ჯოკოვიჩმა გააჩერა.

ჯოკოვიჩი და ნადალი ბოლოს ერთმანეთს უიმბლდონის ნახევარფინალში შეხვდნენ და ესპანელმა სერბს ოთხ სეტში მოუგო.

ახლა, მონრეალში, სერბმა მოუგო ესპანელს და თანაც, ეს ძალზე შთამბეჭდავად გააკეთა. კაცმა რომ სიმართლე თქვას, ჯოკოვიჩს წინა ეტაპზე, მეოთხედფინალში უფრო გაუჭირდა ამერიკელთ ფავორიტ ენდი როდიკთან დაპირისპირებაში.

ამ რამდენიმე კვირის წინათ იყო, დიალმა ჯონ მაკინროიმ ბრძანა, ისეთი პირი უჩანს, ფედერერ-ნადალის ბრძოლაში სწორედ ჯოკოვიჩი ჩაერევაო და თანაც, სერბ ჰარდზე უკეთ თამაშის ალმატებული შანსები აქვს, ვიდრე ესპანელსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ამ ეტაპისთვის „დიდი ჯონის" სიტყვები ხდება — მონრეალური მასტერსის ნახევარფინალში ნოვაკმა რაფაელს შანსი არ დაუტოვა.

ისიც სათქმელია, რომ ესპანელს მანამდეც გაუჭირდა — მეოთხედფინალში, როდესაც ყველასთვის უცნობ კანადელ ფრანკ დანსევიჩს ხვდებოდა, ნადალი პირველი სეტის წაგების შემდეგ მოვიდა გონს და კორტის მასპინძელს აგრძნობინა, თუ სინამდვილეში ვინ იყო მასპინძელი. დანსევიჩთან ეს კი გააკეთა, მაგრამ ჯოკოვიჩთან ალარ გამოვიდა — სერბმა ესპანელი ყოველმხრივ დაჩაგრა და ჩოგბურთის მოყვარულებს მორიგი ფედერერ-ნადალი ააცილა.

„ამ წუთისთვის ნოვაკი აბსოლუტურად საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს ჰარდზე და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი ჩანს" — ეს როჯერ ფედერერის სიტყვებია და იქიდან, თუ რას ამბობს დიადი შვეიცარიელი, კარგად ჩანს, თუ რა გაქანებისაა ახალგაზრდა სერბი.

თავად ფედერერს არც მეოთხედფინალში და არც ნახევარფინალში პრობლემები არ შექმნია. როჯერმა ჯერ მე-19 პირად შეხვედრაში მეთორმეტედ, თანაც ზედიზედ მეათედ მოუგო ჩოგბურთის ტახტზე მის წინამორბედ ლეიტონ ჰიუიტს და მერე, ასევე უპრობლემოდ აჯობა კარიერაში, ალბათ საუკეთესო ჩოგბურთის მოთამაშე ჩეხ რადეკ შტეფანეკს.

**ქალები**
კერსონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

### მეოთხედფინალი

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (9, რუსეთი) 6:3 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:4 6:7 6:2; **ანა ივანოვიჩი** (3, სერბეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:4 6:4; **ნადია პეტროვა** (4, რუსეთი) — ვირჯინი რაზანო (საფრანგეთი) 6:7 6:4 6:1

### ნახევარფინალი

**პეტროვა** — შარაპოვა უარი; **ივანოვიჩი** — იანკოვიჩი 4:6 6:3 7:5

ეს მონრეალში, კალიფორნიაში კი, ლოს ანჯელესის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქ კერსონას მაგარსაფარზე, სადაც ქალთა შეჯიბრი მიმდინარეობს, ფინალში ტანკივით რუსი ნადია პეტროვა და მომხიბვლელი სერბი ანა ივანოვიჩი გავიდნენ.

ერთი ნახევარფინალი რუსული იყო, მეორე — სერბული, ოღონდაც რუსთა თამაში არ შედგა — პირველ ნომრად განთესილმა მაშა შარაპოვამ, რომელმაც მანამდე კიდევ ერთ თანამემამულეს, ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ ელენა დემენტიევას აჯობა, ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა და პეტროვას უბრძოლველად დაუთმო ფინალის გზა.

ივანოვიჩმა კი ელენა იანკოვიჩს დაძაბულ ბრძოლაში აჯობა და აგრძნობინა, ამ წუთისთვის რეიტინგში ჩემზე წინ კი ხარ, მაგრამ საუკეთესო სერბი სწორედ მე ვარო და პირველი სეტის წაგების შემდეგ შემოუტრიალა თანამემამულეს თამაში.

**ქახა ლომჯარიძე**



# მესამე და ლეგენდა

**გუშინ** საღამოს ხუთ საათზე ამოიწურა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტობის მსურველთა განცხადებების წარდგენის ვადა.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა, რის შემდეგაც 12 სექტემბერს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა.

გუშინდლამდე ასოციაციაში ორი კანდიდატი იყო რეგისტრირებული — საქართველოში ხელბურთის პიონერთაგანი, საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი თამაზ თევზაძე.

გუშინ კი ასოციაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს თავის საპრეზიდენტო სურვილზე ტელეფონით აცნობა ასოციაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა ხელბურთელმა ჯემალ ცერცვაძემ.

მართალია, დებულებით პრეზიდენტობის მსურველმა ასოციაციის აღმასკომს წერილობით უნდა მიმართოს, მაგრამ პირადი პრობლემების გამო ბატონი ჯემალი გუშინ თბილისში არ იმყოფებოდა და, როგორც გვითხრეს, საკანდიდატო განცხადებას დღეს წარადგენს.




მესერეტ დეფარი და ტირუნეშ დიბაბა 5 კილომეტრზე ერთმანეთს სპრინტს გაუმართავენ

# გაუძლებს იაპონია ეთიოპიას?

**ეთიოპიელი** სპრინტერი თუ გინახავთ? შეიძლება ვინმეს უნახავს კიდეც, ალბათ ისევ ეთიოპიაში, მაგრამ ამ მთიან აფრიკულ ქვეყანაში მართლა ფეხმარდი გოგო-ბიჭები ვერ იზრდებიან და ამიტომაცაა, ეთიოპიურ სამძლეოსნო სკოლას პრაქტიკულად არასდროს რომ არ წარუდგენია მსოფლიო დონის სპრინტერი.

მოკლე დისტანციებზე სიჩქარე არ უვარგათ, მაგრამ ეთიოპიელებს რომ გამძლეობა აქვთ, ისეთით მთელ ამხელა მსოფლიოში მხოლოდ მათი მეზობელი კენიელები თუ დაიკვეხნიან და ისიც საკითხავია, ამ ორში რომელი უფრო ყოჩაღია.

გუშინ ეთიოპიის მძლეოსნობის ფედერაციამ 25 აგვისტოს იაპონურ ქალაქ ოსაკაში დასაწყები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თავის რჩეულ მორბენალთა სია გამოაქვეყნა. სია 33-კაციანია და იქ წამლადაც არ ურევია სპრინტერი. 100, 200 და 400 მეტრს ვინ ჩივის, საშუალო 800 მეტრზეც კი არავინ ჰყავთ.

სამაგიეროდ, შემდეგ დისტანციებზე ისეთი ვარსკვლავთცვენაა, რომ გულშემატკივარს თვალი აუჭრელდება, მოწინააღმდეგეს კი დაუბნელდება. ისინი სირბილს 1500 მეტრიდან იწყებენ, შემდეგ მოდის 3 კილომეტრი წინაღობებით (სტიპლჩეიზი), 5 კილომეტრი, 10 კილომეტრი და ბოლოს მარათონი, რომელიც, მოგეხსენებათ, 42 კილომეტრს ოდნავ აჭარბებს. ყველა ამ ხუთ დისტანციაზე ეთიოპიას კაცებშიც და ქალებშიც 16-16 სპორტსმენი გამოჰყავს და იაპონიიდინ ბლომად ოქრო-ვერცხლის წამოღებასაც გეგმავს.

დისტანციების სათითაოდ და დაწვრილებით განხილვა ნამდვილად არ ღირს, მაგრამ ფავორიტთა ხსენება კი შეიძლება. არის ისეთი საზეობები, რომლებშიც მათ ვერავინ შეეცილება ოქროში კი არა, იქნებ ვერცხლში და ბრინჯაოშიც კი. 2005 წლის ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ეთიოპიელებმა ქალთა 5-კილომეტრიან გარბენში პირველი ოთხი ადგილი (!) დაიკავეს და აქ წლეულსაც იმდენ კარგ გოგონას მოუყარეს თავი, რომ დიდი შანსია, ოსაკაშიც მათ შეავსონ მთელი კვარცხლბეკი. პირველობისთვის ორი მეგავარსკვლავი იბრძოლებს — მოქმედი ჩემპიონი ტირუნეშ დიბაბა და მისი მარადიული მეტოქე და ხშირად მჯობნელი მესერეტ დეფარი. ამ ორის შეჯიბრი 2006 წლის ყველაზე სასეირო სერიალი იყო ასაფა პაუელის სოლოგარღვევებთან ერთად. დიბაბა-დეფარის დუელმა პიკს შარშანდელი ოქროს ლიგის შეხვედრებზე მიაღწია. ძნელი სათქმელია, ამ ხანგრძლივი დაპირისპირებიდან რომელი გამოვიდა გამარჯვებული, ხან ერთი იგებდა და ხან — მეორე. მაგრამ აი, 2007 წელს კი ისინი ერთხელაც არ გადაყრიან ერთმანეთს. ჩანს, შარშანდელმა სირბილმა ორივე გვარიანად დაღალა. ეს უფრო დიბაბაზე ითქმის, რომელიც თითქმის არც ერთ ტურნირზე არ გამოჩენილა და მოქმედი ჩემპიონი რომ არ იყოს, ოსაკაში 5 კილომეტრზე სირბილის უფლებაც არ ექნებოდა. შესაძლოა, დიბაბა უბრალოდ, თავს ინახავს ჩემპიონატისთვის და ტურნირებზე გამოსვლასაც ამიტომ მოერიდა. რაც შეეხება დეფარს, ის, თავისი მტერ-მოყვარისგან განსხვავებით, აქტიურობს და სულაც არ იმალება. მოკლედ, ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ამ ორმა კიდევ ორი შედარებით ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ძალიან ყოჩაღი თანამემამულის დახმარებით მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი თავი ეთიოპიის ფერებში მორთოს.

სხვათა შორის, ტირუნეშ დიბაბა 10 კილომეტრზეც ირბენს და აქ ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს დეფარის შიში. უფრო საკუთარ დას, ეჯეგაუეჰუ დიბაბას უნდა უფრთხოდეს.

ეთიოპიელთა დელეგაცია, რაღა თქმა უნდა, ოქროს გეგმავს კაცთა 10-კილომეტრიან სირბილშიც. 1991 წლის შემდეგ ერთის გამოკლებით ყველა ჩემპიონატზე ეს დისტანცია ეთიოპიელებს დარჩათ. აქ თავისი ისტორია შექმნა ლეგენდარულმა ჰაილე გებრსელასიემ, ვინც ეს დისტანცია 4-ჯერ მოიგო. გებრსელასიე კვლავაც აქტიურად დარბის, ის კი არა, წლეულს 20 კილომეტრზე (ეს დისტანცია არაა შეტანილი მსოფლიო პირველობის პროგრამაში) მსოფლიო რეკორდიც დაამყარა, თუმც დიდ ეთიოპს ბოლო ხანს ასთმამ შეუტია და ოსაკაშიც აღარ მიდის.

ჰაილე არ იქნება, მაგრამ 10 კილომეტრს ალბათ მაინც მის ქვეყნის შვილი დაიპყრობს. გებრსელასიეს მემკვიდრე და მისი რეკორდების დამმხობელი კენენისა ბეკელე სწორედ 10 კილომეტრზე ირბენს. კენენისას შეეძლო 5-ზეც გამოსულიყო, მაგრამ ორი კურდღლის დევნა თავიდან ამოიგდო და ერთზე კონცენტრირდება. ეთიოპები 5 კილომეტრზეც მძლავრ შემადგენლობას უყრიან თავს — სილეში შიშინე, აბრაჰამ ჩერკოსი და კენენისას უმცროსი ძმა. ტარიკუ ბეკელე — ამათ ყველას მეფობა ესიზმრებათ.

ეთიოპიელები თავს არც მარათონზე და კენიელთა მიერ დაპყრობილ სტიპლჩეიზზე შეირცხვენენ თავს, თუმც აქ ისინი უეჭველ ოქროს მედლებს არ გეგმავენ.

**ქოტე ყორშია**

# რუსეთი ქალებით ფასობს

**მსოფლიოს** ჩემპიონატისთვის თავისი რაზმი შეკრიბეს რუსებმაც — 40 კაცი და 66 ქალი, სულ 106 მძლეოსანი. მონაწილეთა რაოდენობაზეც დაატყობთ, რომ გუნდი ამბიციურია და საფუძვლიანადაც. რუსები მედლების დაფაზე პირველობისთვის თუ არა, სამეულში მოხვედრისთვის კი აუცილებლად იბრძოლებენ და დიდი შანსია, ოსაკაში ბლომად მოხვეტონ სხვადასხვა სინჯის მედლები.

რუსებს ოსაკაში ეყოლებათ ჰელსინკის ყველა ჩემპიონი — ელენა ისინბაევა (ჭოკით ხტომა), ოლიმპიადა ივანოვა (50 კმ სიარული), ტატიანა ტომაშოვა (1500 მ), ოლგა კუზენკოვა (უროს ტყორცნა), იულია პეჩნიკოვა (400 მ თარეჯრბენი) და სერგეი კირდიაპკინი (50 კმ სიარული), აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონები ტატიანა ლებედევა (სიგრძეზე ხტომა) და იური ბორზაკოვსკი (800 მ).

ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს ქალთა უროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენი ტატიანა ლისენკო, რომელიც მხოლოდ 23 წლისაა და მისთვის ეს ჩემპიონატი პირველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რუსული მძლეოსნობის თვალი და სიამაყე სულ ახლახან მაგრად ჩავარდა დოპინგზე და მისთვის ალეპული ოსაკას ბილეთიც გაუქმდა. თავად კი იძახის რა დოპინგი, შემწვარი ქათამი ვჭამე და ალბათ ასე თუ შემყვა ორგანიზმში რაიმე აკრძალული ნივთიერებაო, მაგრამ აბა ვინ დაუჯერებს.

ისე, როგორც თავად ხედავთ, რუსთა გუნდში ამინდს ტრადიციულად ქალები ქმნიან და მედლების უმრავლესობას ახლაც ისინი მოუტანენ დელეგაციას.

**ქოტე ყორშია**

ელენა ისინბაევა



ჭადრაკი



სოფიო გვეტაძემ (მარცხნივ) ვერცხლი და ბრინჯაო დაიმშვა

# გვეტაძის სლოვენიური მედლები

**ქართველმა** მოჭადრაკე სოფიო გვეტაძემ რუმინულ პრედელში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა და იქიდან ორი მედლით დაბრუნდა. ჩვენმა სპორტსმენმა რუმინეთში სწრაფი და ბლიც-პარტიები ითამაშა და შესაბამისად ბრინჯაო და ვერცხლი მოიგო. სულ კი პირველობაში 9 ქვეყნის 52 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

სწრაფ ჭადრაკში 9 ტური ჩათამაშდა და პირველ ადგილზე 7-7 ქულით ერთბაშად სამი მოჭადრაკე გავიდა — ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, სლოვენიელი ანა მუჟიჩუკი და სოფიო გვეტაძე. დამატებითი მაჩვენებლებით ოქრო ლიტველს მისცეს, ვერცხლი კი სლოვენიელს. აღსანიშნავია რომ გვეტაძე ჩმილიტეს მეექვსე ტურში შავი ფიგურებით დაუპირისპირდა და ყაიმს გამორჩა. სწრაფ ჭადრაკში მეორე ქართველი ლელა ჯავახიშვილიც მონაწილეობდა. იგი ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

ბლიცში ჩემპიონი მუჟიჩუკი გახდა. სლოვენიელმა ქალბატონმა 15 შეხვედრაში 13 ქულა დააგროვა და მეორეზე გასულ გვეტაძეს ქულით აჯობა. მეოთხეზე ჯავახიშვილი გავიდა. ჩვენებურმა 10,5 ქულა აიღო და უახლოეს მდევრებს ქულით გაუსწრო.

**ლუკა გეგეჭკორი**

AFP პეკინიდან



# ხუთი რგოლი

## რუსეთში აფხაზეთს მარცვალ-მარცვალ ითვლიან

**ათენის** ცენტრში თავმოყრილმა რამდენიმე ასეულმა კაცმა რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების საბოიკოტოდ ალტერნატიული ოლიმპიური ცეცხლი დაანთო და 25 ქვეყანაში ჩირაღდნის ასეთივე ესტაფეტა დაიწყო, მის მონაწილეთა შორის აღმოჩნდა ლატვიელი მოციგავე მარტინშ რუბენსი.

მარტინშ რუბენსმა, როგორც თავისი ქვეყნის ოლიმპიურმა პრიზიორმა, რაღა თქმა უნდა, გარკვეული წონა შესძინა ჩინეთში ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მხარდამჭერ ამ აქციას, რითაც აქტივისტები ამ ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობას ცდილობენ.

ათენურ აქციაში მარტინშ რუბენსის მონაწილეობამ ლატვიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ცოტა არ იყოს, თავსატეხი გაუჩინა, რადგან ეს ორგანიზაცია იძულებული გახდა, რაღაც განცხადება გაეკეთებინა. ბოლოს ლატვიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ალდონის ვრუბლევსკისმა თქვა: „ამ შემთხვევაში მარტინშს კანონის ფარგლებში თავისი დამოკიდებულების გამოთქმის სრული უფლება აქვს. ეს მარტინშის პირადი აზრია და არა ლატვიის ოლიმპიური კომიტეტის ან ლატვიის საციგაო სპორტის ფედერაციისა, რომლებსაც პეკინის ოლიმპიური თამაშების თაობაზე ოფიციალური შეხედულების გამოსათქმელად უფლებამოსილება არ მიუციათ".

ალდონის ვრუბლევსკისმა იქვე დასძინა, რომ ლატვიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არასდროს მხარს არ უჭერდა და არც დაუჭერს ოლიმპიადების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებს, რადგან ეს ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ამავე დროს პეკინის ოლიმპიური თამაშების მოსალოდნელი ბოიკოტის გამოცხადებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში შეტანილი განცხადებების თაობაზე თავის აზრს გამოთქვამს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი: „ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ოფიციალურად ვისაუბროთ იმაზე, რომ ამერიკის დელეგაცია, რომელიც საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობისთვის იბრძოლებს, პეკინის ოლიმპიადაზე არ ჩამოვა".

ტიაგგაჩევი ამ დასკვნამდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგთან ორდღიანი ურთიერთობის მერე მისულა.

რუსეთის ოლიმპიური მოძრაობის საჭეთმპყრობელი ამერიკელთა მხრიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების შესაძლო ბოიკოტს „საერთაშორისო ოლიმპიური ქარტიის დარღვევას უწოდებს" და დასძენს, პირადად მე მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის საფუძველს ვერ ვხედავო.

ამავე დროს რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის უფროსი გენადი შვეცი აშშ-ის კონგრესში პეკინის ოლიმპიადის საბოიკოტოდ მიღებული ორი განცხადების კომენტარისას ამბობს, რომ ამერიკელები შესაძლოა თავად მოკვეთონ ოლიმპიური მოძრაობიდან, თუ ბოიკოტის მოწყობას შეეცდებიან. მან იქვე განმარტა, რომ 1980 წელს ამერიკელების მიერ მოსკოვის, 1984 წელს კი სსრ კავშირის მხრიდან ლოს ანჯელესის თამაშების ბოიკოტის გამოცხადების მერე ოლიმპიურ ქარტიაში შესაბამისი დებულება შეიტანეს.

გენადი შვეცის აზრით, „ამ იდეაში უფრო მეტად მარაზმია" და იგი დარწმუნებულია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკელები გამოვლენ.

როგორც ხედავთ, ტიაგაჩევსა და შვეცს თავი ყინჩად უჭირავთ, თუმცა ეს მოჩვენებითია და მათ პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკელთა ბოიკოტი კი არა, ალბათ, სოჭის თამაშებისთვის მსგავსი ისტორიის გამეორება უფრო აშინებთ, რაც შესაძლოა ოლიმპიურ მაგიდასთან სეპარატისტული აფხაზეთის მიწვევამ და რუსთა მიერ საქართველოს დაბომბვამ განაპირობოს, ამაზე მეტს კი ჩინელები, მგონი, არც სჩადიან.

ამასობაში რუსეთის გენერალურ პროკურატურაში გაიმართა სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებისა და მისი მიმდინარეობის პერიოდში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებებისადმი მიძღვნილი საუწყებათშორისო მუშა ჯგუფის პირველი თათბირი.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს და შეათანხმეს ოლიმპიადის მომზადებისა და მისი მიმდინარეობისას ექსტრემისტული გამოვლინებების, ფედერალური ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო წყაროებიდან ფინანსური სახსრების დატაცებისა და არამიზნობრივად ხარჯვის აღსაკვეთად საორგანიზაციო-სამართლებრივი კომპლექსური ღონისძიებების თაობაზე გასატარებელი საკითხები.

ექსტრემისტულ გამოვლინებებში, ეტყობა, საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა იგულისხმება, რაც შეეხება ფინანსური სახსრების დატაცებას, ფულის გათეთრებასა და მისთანებს, რუსეთს ჩვენგან უკონტროლო აფხაზეთი სწორედ ამ ბნელი საქმეებისთვის სჭირდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

პლაჟის ფრენბურთი

# ნორვეგიული თერთმეტი

**პლაჟის** ფრენბურთში ჩვენმა კაცთა და ქალთა წყვილებმა გეორ-გიამ და საქა-რთველომ წლევანდელი სეზონი ბარაქიანად რომ დაიწყეს, ახლა ტემპს უკლეს და დროა, ისევ ძველებურად ათამაშდნენ.

სულ რაღაც ერთი თვის წინ შვეიცარიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ და გია მსოფლიო რეიტინში მეოცე-ოცდამეორეადგილებზე ტრიალებდნენ და იმ მომენტის შედეგით საგაისო პეკინის ოლიმპიადის საგზურიც შორტებში ედოთ. საქა და რთველო კი თითქოს ფორმაში შედიოდნენ და სალიცენზიო ზონას უახლოვდებოდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერც ერთმა ჩვენმა წყვილმა ვერ დაძლია ჯგუფური ეტაპი, მერე ავსტრიული მსოფლიოს ეტაპი იყო და ვერც იქ ითამაშეს ლაზათიანად. ერთი სიტყვით, ივლისი ერთობ უბარაქო გამოდგა გეორ-გია და საქართველოსთვის.

ამ უქმეებზე კი ნორვეგულ კრისტიანსენდში მორიგი ოთხდღიანი მსოფლიო ეტაპი ჩატარდა და ჩვენებისთვის, საქა და რთველოსთვის, პირველივე დღეს დასრულდა. ჩვენმა ქალებმა, რომლებიც მაღალი რეიტინგის გამო ძირითად ბადეში იყვნენ განთესილები, პირველივე წრეში მიჯრით ორჯერ წააგეს და გეორ და გიას ქომაგებში ტრიბუნებზე გადაინაცვლეს.

წაგებათა მიმდევრობა ასეთი იყო: საქა და რთველო ჯერ კუბელებთან, ფერნანდასთან და ოარეასთან დამარცხდნენ, მერე კი — ბრაზილიელ თანამემამულეებთან, ლეილასთან და ანა პაულისთან.

ქალებისგან განსხვავებით, ტურნირზე სამი დღე გაძლეს გეორ და გიამ. ჩვენი ბრაზილიელები თავიდანვე ძირითად ბადეში მოხვდნენ და ხუთი ეტაპი გაიარეს. ამით გეორ-გიამ ბევრი არა, მაგრამ საჭირო სარეიტინგო ქულები მოიპოვეს.

პირველ წრეში გეორ-გიამ იტალიური, ლიონი-ვარნიეს წყვილი დაამარცხეს, მეორეში თავად წააგეს ტურნირზე მე-3 ნომრად განთესილ რუსებთან, ბორსუკთან და კოლოდინსკისთან. ცნობისთვის, პლაჟის ფრენბურთში ძირითად ბადეში ერთი წაგება გეპატიება. მესამე წრეში გეორ და გიამ ისევ იტალიელებს, ოღონდ ამჯერად ამორეს და ბიზოცოს მოუგეს, ჩაროზად ფრანგული წყვილი, დიუპრე და გალიანო, დააყოლეს. აი, მე-9 ადგილის ნახევარფინალში კი ჰოლანდიელებთან დე გუიცერთან და რონისთან წააგეს. ამით ჩვენებისთვის ნორვეგიული ფრენბურთი და საბოლოოდ მეთერთმეტე ადგილით დასრულდა.

**ბ აჩო სვანიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშტონის დოპინგ-ტონი



სებასტიან შაბალმა ინგლისელთა დაცვა გაარღვია

**ინგლისი 15:21 საფრანგეთი**

**ინგლისი:** აბენდანონი, საკი, ნუნი, ქუთი, ლუსი, ბარკლი, პერი; შერიდანი, რეგანი, სტივენსი, შოუ, კეი, ჰასკელი, მუდი, დალალიო

შეცვლაზე შევიდნენ: მირსი, ვიკერი, ქორი, უორსლი, გომარშალი, უილკინსონი, ჩიპრიანი.

4ს: ბარკლი; 1ს: გომარშალი

**საფრანგეთი:** პოიტრინუ, კლერკი, მარტი, ტრაილე, რუჟერი, მინიონი, ბონარი; მილუ, იბანიესი, პო, პელუ, ტიონი, ბესემი

შეცვლაზე შევიდნენ: ცარევსკი, მასი, შაბალი, ნიანა, ელისალდე, მიშალაკი, პეიმანი

2ლ: პელუ, შაბალი; 1ბ: ელისალდე; 3ს: სკრელა (2), ელისალდე

**ინგლისის** ნაკრების მხცოვანი მწვრთნელი, ბრაიან ეშტონი შეიძლება უსერიოზულესი სკანდალის ამგორებელი გახდეს. არადა, ცოტა ხანში საფრანგეთში მსოფლიოს თასი იწყება და დიდი შანსია, სრულიად ოვალურბურთიანი სამყარო ტურდეფრანსის წამლეკმა დოპინგომანიამ მოიცვას.

ამ უქმეებზე მსოფლიოს ჩემპიონმა ინგლისმა წლევანდელი მსოფლიოს თასის მასპინძელ საფრანგეთთან ტესტი რომ წააგო, ნამატჩევს დოპინგის გარდა, სალაპარაკო თემა არც ყოფილა. ეშტონმა კი სკანდალური განცხადება გააკეთა: „საერთაშორისო ანტისადოპინგო ასოციაციას ვთხოვ, რომ რაგბიშიც ჩაიხედოს და ამ საქმით სერიოზულად დაინტერესდეს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. დიდი ეჭვი მაქვს, რომ რამდენიმე ცნობილი სარაგბო ქვეყნის მოთამაშეები აკრძალული პრეპარატებით იჭყიპებიან. ეს მათი რეაქციიდან და არანორმალური გამოხედვიდანაც კარგად ჩანს. თუმცა ერთი პრობლემაა — რაც სხვა სპორტის სახეობებში აკრძალულია, ის რაგბიში დაშვებულია. ან რამე სტეროიდი ვთქვათ — საფრანგეთში თავისუფლად იყიდება, სხვაგან კი დოპინგად ითვლება."

ამის თქმა იყო და, ფრანგულმა გამოცემებმა ეშტონზე იერიში მიიტანეს, აქაოდა, რეპუტაციას გვილახავს და ეჭვი ჩვენს ნაკრებზე აქვსო.

ერთი სიტყვით, ეშტონის განცხადებამ მთლიანად გადაფარა ერთობ ეშხიანი ჯახი, რომელიც საფრანგეთმა ულაპარაკოდ მოიგო, თუმც ისიც სათქმელია, რომ ინგლისის დამწყები რაზმი შორს იყო ოპტიმალურისგან.

ფრანგებს კი ახალი კერპი ჰყავდათ — გაუპარსავი და გრრძელთმიანი მორკინალი სებასტიან შაბალი „მამლებს" მერამდენედ ევლინება მშველელად და მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმაც თქვა, „შაბას" იმედი ყველაზე მეტად მაქვსო.

უქმეების მეორე ტესტში კი შოტლანდიამ „ღმერთად" წოდებული ბრაიან ოდრისკოლიან ირლანდიას შავი დღე აყარა. „მამაცმა გულებმა" მატჩის დასაწყისში რომ დაიწყეს მეტოქის რბევა, ბოლომდე არ მოეშვნენ და გარდა ლელოებისა, ერთი-ორი ბარაქიანი მუჯლუგუნიც „მიართვეს" მეტოქეს, რომელიც, სხვათა შორის, მსოფლიოს თასზე საქათრველოს მეტოქეა.

**ბაჩო სვანიძე**

**შოტლანდია 31:21 ირლანდია**

**შოტლანდია:** რ. ლამონტი, ს. ლამონტი, დიუ, ჰენდერსონი, ვებსტერი, პატერსონი, ბლერი; იაკობსენი, ფორდი, მიურეი, ჰანტერი, ჰამილტონი, უაიტი, ჰოგი, ტეილორი

შეცვლაზე შევიდნენ: ტომსონი, სმიტი, მაკლეოდი, ბრაუნ, კუსიტერი, პარკსი, უოლკერი

5ლ: ჰოგი, ჰენდერსონი (3), მიურეი; 3ბ: პატერსონი (2), პარკსი;

ირლანდია: მერფი, კარნი, ოდრისკოლი, დაფი, ბოუი, უოლესი, ბოსი; იანგი, ფლენერი, ბესტი, ოკელი, ოკონოლი, ნ. ბესტი, ფერისი, ჰისლიპი

შეცვლაზე შევიდნენ: რ. ბესტი, ჰეიესი, ქუინლანი, გლისონე, რედანი, ოგარა, ჰორგანი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია პრემიერლიგა 13 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 79 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.95 | 3.10 | 3.20 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| | | გერმანია II ბუნდესლიგა 13 აგვისტო | | | | | | |
| 22:15 | 110 | ლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 2.10 | 3.15 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.50 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 13 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 188 | ბრესტი-ბასტია | 2.35 | 2.75 | 2.80 | 1.26 | 1.27 | 1.38 |
| | | ჩეხეთი 13 აგვისტო | | | | | | |
| 19:15 | 275 | ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 | 1.35 | 3.90 | 7.40 | 1.00 | 1.14 | 2.55 |
| | | დანია. სუპერლიგა 13 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 296 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3.20 | 3.15 | 1.90 | 1.58 | 1.19 | 1.18 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა 13 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 319 | ჰალმსტადი-მალმიო | 2.00 | 3.15 | 2.75 | 1.22 | 1.15 | 1.46 |
| 22:00 | 320 | იურგორდენი-ჰამარბი | 2.00 | 3.15 | 2.75 | 1.22 | 1.15 | 1.46 |
| | | შვედეთი. სუპერეტა 13 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 21:00 | 329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 4.15 | 3.40 | 1.60 | 1.86 | 1.15 | 1.08 |
| 21:00 | 330 | ჰეკენი-ლანდსკრონა | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 21:00 | 331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 1.75 | 3.30 | 3.65 | 1.14 | 1.18 | 1.73 |
| 21:00 | 332 | სილვია-სუნდსვალი | 3.20 | 3.20 | 1.90 | 1.60 | 1.19 | 1.19 |
| | | ფინეთი 13 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 341 | კტპ-ჰონკა | 2.70 | 3.20 | 2.15 | 1.46 | 1.19 | 1.28 |
| | | ჩემპიონთა ლიგა 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 526 | ლაციო-დინამო ბუქ | 1.55 | 3.45 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.04 |
| 22:45 | 527 | რეინჯერსი-ცრვენა ზვეზდა | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 528 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.30 | 4.10 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.63 |
| 23:45 | 529 | ვალენსია-ელფსბორგი | 1.15 | 5.10 | 10.50 | 1.00 | 1.03 | 3.43 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 18:30 | 530 | ტულუზი-ლივერპული | 3.30 | 3.10 | 1.95 | 1.59 | 1.22 | 1.19 |
| 20:00 | 531 | ტამპერე-რუსენბორგი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 20:00 | 532 | სპარტაკი მ-სელტიკი | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 21:00 | 533 | ბატე-სტიაუა | 3.50 | 3.20 | 1.85 | 1.67 | 1.21 | 1.17 |
| 22:00 | 534 | სარაევო-დინამო კ | 3.50 | 3.15 | 1.85 | 1.65 | 1.21 | 1.16 |
| 22:00 | 535 | ფენერბაჰჩე-ანდერლეხტი | 1.55 | 3.40 | 4.90 | 1.06 | 1.17 | 2.00 |
| 22:15 | 536 | ციურიხი-ბეშიქთაში | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 537 | ვერდერი-დინამო ზ | 1.30 | 4.10 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.63 |
| 22:30 | 538 | ზალცბურგი-შახტარი | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| 22:30 | 539 | აიაქსი-სლავია | 1.30 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.47 |
| 22:45 | 540 | სევილია-აეკ | 1.25 | 4.15 | 9.40 | 1.00 | 1.10 | 2.87 |
| 22:45 | 541 | სპარტაკი პ-არსენალი | 4.10 | 3.25 | 1.70 | 1.81 | 1.20 | 1.11 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 13 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 489 | პიტერბრო-საუთჰემპტონი | 3.70 | 3.20 | 1.80 | 1.71 | 1.21 | 1.15 |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 470 | აკრინგტონი-ლესტერი | 4.30 | 3.35 | 1.55 | 1.88 | 1.13 | 1.05 |
| 22:45 | 471 | ბარნსლი-დარლინგტონი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 22:45 | 472 | ბლექპული-ჰადერსფილდი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 22:45 | 473 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2.70 | 3.20 | 2.10 | 1.46 | 1.18 | 1.26 |
| 22:45 | 474 | როვერსი-კრისტალ პალასი | 3.40 | 3.20 | 1.85 | 1.64 | 1.19 | 1.17 |
| 22:45 | 475 | ბერი-კარლაილი | 2.80 | 3.20 | 2.00 | 1.49 | 1.16 | 1.23 |
| 22:45 | 476 | კარდიფი-ბრაიტონი | 1.40 | 3.50 | 5.90 | 1.00 | 1.13 | 2.19 |
| 22:45 | 477 | ჩესტერი-ნოტინგემი | 3.30 | 3.20 | 1.85 | 1.62 | 1.18 | 1.17 |
| 22:45 | 478 | ქოვენთრი-ნოტსი | 1.30 | 4.10 | 6.90 | 1.00 | 1.09 | 2.57 |
| 22:45 | 480 | დაგ ენდ რედი-ლუტონი | 3.20 | 3.10 | 1.90 | 1.57 | 1.19 | 1.17 |
| 22:45 | 481 | დონკასტერი-ლინკოლნი | 1.55 | 3.40 | 4.80 | 1.06 | 1.17 | 1.99 |
| 22:45 | 482 | გრიმსბი-ბარნლი | 3.40 | 3.30 | 1.80 | 1.67 | 1.17 | 1.16 |
| 22:45 | 483 | ჰერეფორდი-იოვილი | 2.80 | 3.15 | 2.00 | 1.48 | 1.16 | 1.22 |
| 22:45 | 484 | მაკლსფილდი-ლიდსი | 3.70 | 3.30 | 1.70 | 1.74 | 1.16 | 1.12 |
| 22:45 | 485 | დონსი-იფსვიჩი | 3.30 | 3.20 | 1.85 | 1.62 | 1.18 | 1.17 |
| 22:45 | 486 | ნორთჰემპტონი-მილუოლი | 2.40 | 3.20 | 2.40 | 1.37 | 1.20 | 1.37 |
| 22:45 | 487 | ნორვიჩი-ბარნეტი | 1.25 | 4.40 | 7.40 | 1.00 | 1.06 | 2.75 |
| 22:45 | 488 | ოლდემი-მენსფილდი | 1.45 | 3.50 | 5.75 | 1.02 | 1.15 | 2.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 490 | პლიმუთი-უიკომბი | 1.40 | 3.80 | 6.00 | 1.02 | 1.13 | 2.32 |
| 22:45 | 491 | პორტ ვეილი-რექსემი | 1.45 | 3.40 | 5.50 | 1.01 | 1.14 | 2.10 |
| 22:45 | 492 | პრესტონი-მორიკომბი | 1.25 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.07 | 2.81 |
| 22:45 | 493 | ქპრ-ლეიტონი | 1.50 | 3.40 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.07 |
| 22:45 | 494 | როჩდეილი-სტოკი | 3.70 | 3.30 | 1.70 | 1.74 | 1.16 | 1.12 |
| 22:45 | 495 | სკანთორპი-ჰარტლპული | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |
| 22:45 | 496 | შეფილდი-ჩესტერფილდი | 1.30 | 4.10 | 6.70 | 1.00 | 1.08 | 2.54 |
| 22:45 | 497 | შრიუსბერი-კოლჩესტერი | 3.20 | 3.15 | 1.90 | 1.58 | 1.19 | 1.18 |
| 22:45 | 498 | საუთენდი-ჩელტენემი | 1.60 | 3.40 | 4.00 | 1.08 | 1.14 | 1.83 |
| 22:45 | 499 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2.70 | 3.20 | 2.15 | 1.46 | 1.19 | 1.28 |
| 22:45 | 500 | სუონსი-უოლსოლი | 1.65 | 3.30 | 4.10 | 1.10 | 1.17 | 1.82 |
| 22:45 | 501 | სუინდონი-ჩარლტონი | 3.70 | 3.30 | 1.70 | 1.74 | 1.16 | 1.12 |
| 22:45 | 502 | უოტფორდი-ჯილინგემი | 1.30 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.54 |
| 22:45 | 503 | ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი | 1.40 | 3.90 | 5.50 | 1.03 | 1.11 | 2.28 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 479 | ქრიუ-ჰალი | 2.40 | 3.15 | 2.40 | 1.36 | 1.20 | 1.36 |
| 22:45 | 504 | ვულვერჰემპტონი-ბრედფორდი | 1.30 | 3.90 | 7.20 | 1.00 | 1.10 | 2.52 |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 505 | როტერჰემი-უენსდი | 3.65 | 3.30 | 1.75 | 1.73 | 1.18 | 1.14 |
| | | შოტლანდია | | | | | | |
| | | თასი | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 506 | ალბიონი-ბერიკი | 3.20 | 3.50 | 1.90 | 1.67 | 1.19 | 1.23 |
| 22:45 | 508 | კლაიდი-ქუინი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 22:30 | 509 | დანდი-როსი | 1.55 | 3.75 | 4.50 | 1.09 | 1.15 | 2.04 |
| 22:30 | 510 | ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 3.20 | 3.50 | 1.90 | 1.67 | 1.19 | 1.23 |
| 23:00 | 511 | ელგინი-ბრეჩინი | 4.50 | 3.75 | 1.55 | 2.04 | 1.15 | 1.09 |
| 22:30 | 512 | ფორფარი-ისტ ფაიფი | 2.75 | 3.50 | 2.10 | 1.53 | 1.19 | 1.31 |
| 22:45 | 513 | ჰამილტონი-ეარი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 22:45 | 514 | მონტროუზი-სტირლინგი | 3.50 | 3.50 | 1.80 | 1.75 | 1.18 | 1.18 |
| 22:30 | 515 | მორტონი-ლივინგსტონი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 22:30 | 516 | პიტერჰედი-კოუდენბითი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 22:45 | 517 | ქუინზ პარკი-სტრანრარი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 22:45 | 518 | რეითი-სტ.ჯონსტონი | 2.75 | 3.50 | 2.10 | 1.53 | 1.19 | 1.31 |
| 22:45 | 519 | სტენჰაუზმური-ერდრი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 507 | არბროთი-ალოა | 2.35 | 3.50 | 2.35 | 1.40 | 1.17 | 1.40 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10079 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10319 | ჰალმსტადი-მალმიო | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10320 | იურგორდენი-ჰამარბი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 4.55 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.46 | 1.03 |
| 10330 | პეკენი-ლანდსკრონა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10332 | სილვია-სუნდსვალი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11079 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11319 | ჰალმსტადი-მალმიო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11320 | იურგორდენი-ჰამარბი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11330 | პეკენი-ლანდსკრონა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11332 | სილვია-სუნდსვალი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12079 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.55 | 1.90 |
| 12319 | ჰალმსტადი-მალმიო | 1.60 | 1.85 |
| 12320 | იურგორდენი-ჰამარბი | 1.60 | 1.85 |
| 12328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 1.75 | 1.70 |
| 12329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 1.90 | 1.55 |
| 12330 | პეკენი-ლანდსკრონა | 1.75 | 1.70 |
| 12331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 1.75 | 1.70 |
| 12332 | სილვია-სუნდსვალი | 1.75 | 1.70 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

([illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14079 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 2.20 |
| 14319 | ჰალმსტადი-მალმიო | 1.70 | 2.20 |
| 14320 | იურგორდენი-ჰამარბი | 1.70 | 2.20 |
| 14328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 1.70 | 2.20 |
| 14329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 2.50 | 1.30 |
| 14330 | პეკენი-ლანდსკრონა | 1.70 | 2.20 |
| 14331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 1.45 | 2.40 |
| 14332 | სილვია-სუნდსვალი | 2.20 | 1.70 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15079 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | ჰალმსტადი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15320 | იურგორდენი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | პეკენი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15332 | სილვია-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16079 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.38 | 2.65 |
| 16319 | ჰალმსტადი-მალმიო | 1.40 | 2.55 |
| 16320 | იურგორდენი-ჰამარბი | 1.40 | 2.55 |
| 16328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 1.40 | 2.55 |
| 16329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 2.90 | 1.32 |
| 16330 | პეკენი-ლანდსკრონა | 1.40 | 2.55 |
| 16331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 1.25 | 3.40 |
| 16332 | სილვია-სუნდსვალი | 2.20 | 1.50 |

### გოლი: ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17079 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | ჰალმსტადი-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17320 | იურგორდენი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ატვიდაბერგი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17330 | პეკენი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ლიუნგსკილე-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | სილვია-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |



# უცნობი არსენალის სკამთან
## ვენგერი ვენგერს არ ჰგავს

**არსენ ვენგერის** ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო მეტი შეშფოთების საბაბს იძლევა — მუდმივი დაძაბულობა და სტრესი, აი, რა არის, ექიმების აზრით, პრობლემის თავი და თავი.

როგორც ოჯახის წევრები და ამხანაგები ამბობენ, ვენგერს სამუშაოს მთელი სიმძიმე მხრებზე მას მერე დააწვა, რაც „არსენალის" ახალმა მეპატრონემ კლუბის ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი გაუშვა თანამდებობიდან.

არსენ ვენგერმა, წესითა და რიგით, „არსენალთან" ახალი ხელშეკრულება უახლოესი ორი კვირის განმავლობაში უნდა გააფორმოს. ესე იგი, ყველაფერი რიგზე ყოფილა? დაბეჯითებით ამას მაინც ვერ ვიტყვით: როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, საკუთრივ მწვრთნელის კატეგორიული მოთხოვნით, ახალ ხელშეკრულებაში შეიტანეს ერთი ისეთი პუნქტი, რომელსაც ნიშანდობლივი შეიძლება ვუწოდოთ. არაიურიდიული ენით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ პუნქტი „ქუდის დახურვის და კარის გამოჯახუნების" შესახებ.

ვენგერის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და საფრანგეთში „არსენალის" სკაუტი ჟილ გრიმანდი:

„არსენს სამუშაო აქამდეც ათოვდა და აწვიმდა, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი შემაშფოთებლად გაიზარდა. მას დინის საქმის უდიდესი ნაწილის კისრება მოუხდა და ეს მის ჯანმრთელობაზე შემაშინებლად მოქმედებს. ყველა, ვინც არსენის გარშემო ტრიალებს და თავს მის მეგობრად თვლის, ცდილობს, საქმე რამენაირად შეუმსუბუქოს, მაგრამ ფაქტია, რომ ვენგერი შეუცვლელია".

აღსანიშნავია, რომ ლონდონელთა 57 წლის მწვრთნელმა საზაფხულო არდადეგები იტალიაში, მინერალური წყლებით მდიდარ ერთ-ერთ კურორტზე გაატარა, ერთი სიტყვით, როგორც ჩვენში იტყოდნენ, „პენსიონერივით" დაისვენა, რათა ახალი სეზონისთვის ძალები აღედგინა.

„ხანდახან, როდესაც „არსენალის" თამაშების ვიდეოჩანაწერს ვუყურებ, სათადარიგოთა სკამთან ვხედავ კაცს, რომელსაც ვერ ვცნობ — თქვა, ამასწინათ, ვენგერმა და დასძინა — მერე ვხვდები, რომ ეს თავად მე ვარ და შიში მიპყრობს. არადა, ვალდებული ვარ, აგვისტოს ბოლომდე ახალ ხელშეკრულებას მოვაწერო ხელი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გუნდის წარმატება შევაფერხო, ეს კი არაფრით შეიძლება".

**ბაჩუნა ძიძია**

# როგორ გავხდეთ კარგი ხალხი?

**„ნიუკასლის"** ნახევარმცველი ჯოი ბარტონი აღიარებს, რომ ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დაუშვია, მაგრამ ცდილობს, გამოსწორდეს და ხალხს შეხედულება შეაცვლევინოს.

„ხალხს ჩემს დანახვაზე დიდი ჯოხის აღება და ცემა უნდება, რადგან ცუდი ბიჭის სახელი მაქვს გავარდნილი — უთხრა ბარტონმა რადიო 5-ის ჟურნალისტს — მაგრამ ასე არ არის. იმ ადამიანებმა, ვისაც პატივს ვცემ და ვისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია, კარგად იციან, ვინ ვარ და რას ვცდილობ".

ეს ინტერვიუ 24 წლის ფეხბურთელმა ჯერ კიდევ მაშინ მისცა, როდესაც „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელობის დროს თანაგუნდელზე, უსმან დაბოზე თავდასხმა ედებოდა ბრალად.

ბარტონში „ნიუკასლ იუნაიტედმა" „მანჩესტერ სიტის" ამ ზაფხულს 5,8 მილიონი გირვანქა გადაუხადა, მაგრამ ტრავმის გამო, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

„მეც ადამიანი ვარ და შეცდომები მომდის. უნდა ვაღიარო, რომ ამისგან ზოგი სულელურიც კია. ვაღიარებ, შევცდი. მერე წამოვდექი და ვითხოვე, ვინმემ მითხარით, რა უნდა გავაკეთო, ყველაფერი რომ გამოვასწორო-მეთქი. მე, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი, ხან კარგად ვიქცევი და ხან ცუდად, ოღონდ ეს არის, ფეხბურთელი ვარ და ჩემს ცხოვრებას ყველა აკვირდება, მაგრამ განა ფეხბურთელობა იმას ნიშნავს, რომ რობოტი ან სუპერადამიანი ვარ და ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით უნდა მომეთხოვებოდეს? მე ყველა ღონეს ვხმარობ, რათა კარგი ადამიანი გავხდე".

**ბაჩუნა ძიძია**



ჯოი ბარტონი

## აბელი დააბრუნეს

**აბელ ბრაგა** კვლავ დანიშნეს ბრაზილიური „ინტერნასიონალის" თავკაცად, საიდანაც ოთხი თვის წინ დაითხოვეს. მან ალექსანდრე გალო შეცვალა, რომელიც 25-ე მოხსნილი მწვრთნელია ჩემპიონატში დღემდე.

გალოს ხელში გუნდმა 20 მატჩიდან რვა მოიგო და ქომაგები მის გაშვებას ითხოვდნენ.

ამჟამად „ინტერი" მე-11 ადგილზეა 23 ქულით. ბრაგას თავკაცობით გუნდმა შარშან ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასები მოიგო.

## მაგდენს ვერ გადავიხდით

**ხუან რომან რიკელმემ** განაცხადა, რომ „ბოკა ხუნიორსიდან" „ვილიარეალში" დაბრუნდება.

იგი თებერვალში გაანათხოვრეს არგენტინულ კლუბში და მისი დატოვება სურდათ, მაგრამ „ვილიარეალმა" 10 მილიონი ევრო მოსთხოვა. „ბოკა" ამ თანხის გადამხდელი არაა და 23 წლის ნახევარმცველს ესპანეთში აბრუნებს.

„2009 წელს „ვილიარეალთან" კონტრაქტი მისრულდება და მერე შეიძლება ისევ ვითამაშო „ბოკაში" — თქვა რიკელმემ.

## ალექსი ჩაეწერება

**„ჩელსიმ"** ოფიციალურად დაადასტურა, რომ პსვ-ს ბრაზილიელი მცველი ალექსი მისი ფეხბურთელი გახდა.

ცოტა ხნის წინ ალექსს ბრიტანეთის სამუშაო ვიზაზე უარი უთხრეს, მაგრამ პრობლემა მოგვარებულია და ბრაზილიელი „ჩელსიში" ითამაშებს.

„ვიმედოვნებ, რომ მალე ჩავეწერები შემადგენლობაში და ამ საქმეში პორტუგალიურად მოლაპარაკე კარვალიუ და მაურინიუ დამეხმარებიან" — თქვა ბრაზილიელმა.

## ბიელსა ჩილელია

**არგენტინის** ნაკრების ყოფილ მწვრთნელ მარსელო ბიელსას ჩილეს ნაკრები ჩააბარეს.

„იგი დათანხმდა ჩვენს პირობებს და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის დასრულებამდე უთავკაცებს" — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა ჰაროლდ მეინ-ნიკოლსმა, რომელიც იმედოვნებს, რომ ჩილე მომავალ მუნდიალზე აუცილებლად ითამაშებს.

## დოს სანტოსი იყიდება

**მიუნხენის** „ბაიერნმა" ხულიო დოს სანტოსი სეგუნდადივიზიონის „ალმერიას" ერთი სეზონით ათხოვა.

24 წლის პარაგვაელი ნახევარმცველი შარშან იანვარში „სერო პორტენიოდან" ოთხ მილიონ ევროდ შეიძინეს.

მან ხუთჯერ შეცვლაზე ითამაშა „ბაიერნში", გასული სეზონი კი „ვოლფსბურგში" გაატარა. მიუნხენელთა თავკაც ოტმარ ჰიცფელდს მისი გაყიდვა უნდა.

## ტაკინარდის ბრეშა

**„იუვენტუსის"** საყრდენი ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი, რომელიც „ვილიარეალში" იყო განათხოვრებული, „ბრეშაში" გადავიდა.

32 წლის იტალიელმა ესპანეთში სეზონნახევარი გაატარა, ბრეშელებთან კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ტაკინარდი „იუვენტუსმა" 1994-ში „ატალანტადან" იყიდა და მან 11 წელი შეალია „ბებერ ქალბატონს".

## ლომანა პორტიდან პირეოსში

**დემოკრატიული** კონგოსა და „პორტსმუთის" ფორვარდი ლომანა ლუა ლუა პირეოსის „ოლიმპიაკოსში" გადავიდა.

ფეხბურთელმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და, ბერძნული მედიის ცნობით, მასში 4 მილიონ 100 ათასი ევრო გადაიხადეს.

ლუა ლუას ჯამაგირი მილიონი იქნება.

კონგოელის კარიერა „კოლჩესტერში" დაიწყო, შემდეგ კი „ნიუკასლით" და „პორტსმუთით" გაგრძელდა.

## აიაქსმა ენა ვერ გაიგო

**ამსტერდამის** „აიაქსმა" უარი უთხრა მადრიდის „რეალს" უესლი სნეიდერზე, რომელშიც ესპანური კლუბი 27 მილიონ ევროს სთავაზობდა.

„რეალმა" ულტიმატუმი წაუყენა — სამ საათში პასუხს ველიო, მაგრამ „აიაქსმა" ულტიმატუმის ენაზე დიალოგი არ ისურვა.

## ერთგული კალიარელა

**ფაბიო კალიარელამ** „უდინეზეს" ერთგულება კონტრაქტზე ხელმოწერით დაუდასტურა.

იტალიის ნაკრების ფორვარდმა ხელშეკრულება 2012 წლამდე გაახანგრძლივა.

იგი წინა სეზონში გენუის „სამპდორიაში" იყო და 13 გოლიც გაიტანა.

კალიარელას ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელმა იტალიაში დარჩენა ისურვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### I ტური

**ასტონ ვილა 1:2 ლივერპული**

0:1 ლაურსენი (31ს.კ.), 1:1 ბერი (85პ), 1:2 ჯერარდი (87)
ასტონ ვილა: ტეილორი, ბუმა (მური 71), ლაურსენი (გ. კეჰილი 46), მელბერგი, ბერი, გარდნერი, ს. პეტროვი, რეო-კოკერი, აგბონლაჰორი, კარეუ, იანგი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ლივერპული: რეინა, არბელოა, აგერი, კარაგერი, ფინანი, ფაბი ალონსო, ჯერარდი, პენანტი (ბაბელი 74), რიისე, კუიტი (სისოკო 90), ტორესი (ვორონინი 79)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მელბერგი, ბუმა, ბერი, ს. პეტროვი, პენანტი, რეინა
მსაჯი: რაილი
42 640 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 უიგანი**

1:0 ოსმანი (26), 2:0 ანიჩებე (75), 2:1 სიბიერსკი (80)
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფ. ნევილი, სტაბსი, იობო, არტეტა, კარსლი, ოსმანი (პიენაარი 73), არიჩებე, ჯონსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
უიგანი: კირკლანდი, ბრამბლი, გრენკვისტი, მელხიოტი, შერნერი, კილბეინი, კუმასი, ლანძაატი, ვალენსია, ფოლანი (სიბიერსკი 66), ჰესკი
მწვრთნელი: კრის ჰეტჩინგსი
მსაჯი: კლატენბურგი
39 220 მაყურებელი

**ბოლტონი 1:3 ნიუკასლი**

0:1 ნზოგბია (11), 0:2, 0:3 მარტინსი (21, 27), 1:3 ანელკა (30)
ბოლტონი: იასკალაინენი, სიდი, ჰანტი, სამუელი, ფეიე, მაკკენი, ნოლანი, სპიდი (ალონსო 74), დევისი (მელგუსონი 58), ანელკა, ვაზ ტე (დიუფი 46)
მწვრთნელი: სემი ლი
ნიუკასლი: ჰარპერი, კარი, როზენალი, ტეილორი, ბატი, ჯერემი, მილნერი (რემიჯი 86), ნზოგბია, მარტინსი (სოლანო 69), სმიტი, ვიდუკა (ამეობი 72)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: მელგუსონი, ჯერემი
მსაჯი: ფოი
25 414 მაყურებელი

**დერბი 2:2 პორტსმუთი**

1:0 ოკლი (5), 1:1 მვარუვარი (27), 1:2 უტაკა (83), 2:2 ტოდი (84)
დერბი: ბაივოტერი, კ. დევისი, გრიფინი (მაკეველი 80), მირსი, მური, ტოდი, ოკლი, პირსონი, ფაგანი, ჰოვარდი, ერნშოუ (ტილი 74)
მწვრთნელი: ბილი დევისი
პორტსმუთი: ჯეიმსი, კემპბელი, დისტინი, ჰრეიდარსონი, ჯორენი, შ. დევისი, მუნტარი (ტეილორი 80), მენდეში, უტაკა, მვარუვარი (პამაროტი 90), ნაჯენტი (კანუ 70)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დინი
32 176 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:2 სიტი**

0:1 ბიანკი (18), 0:2 ჯოვანი (87)
ვესტ ჰემი: გრინი, ე. ფერდინანდი, მაკარტნი (ეშტონი 63), სპექტორი, აპსონი, ბოიერი (მულინზი 46), ლიუნგბერგი, ნობლი, ბელამი, ბოა მორტე (ეზერინგტონი 46), ზამორა
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
სიტი: კ. შმეიხელი, ჩორლუკა (ონუპა 62), დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (ჯოვანი 80), ჰამანი, აილენდი, ჯონსონი, მ. პეტროვი, ბიანკი (ბოჟინოვი 61)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: გარიდო, აილენდი, ელანო, ჯოვანი
მსაჯი: უოლტონი
34 921 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:2 ბლეკბერნი**

1:0 დაუნინგი (31), 1:1 სანტა კრუზი (63), 1:2 დერბიშირი (79)
მიდლსბრო: შვარცერი, არკა (კატერმოლი 88), ე. დევისი, რიგოტი, ე. ტეილორი, უიტერი, ბოატენგი, დაუნინგი, ალიადიერი (ლი 84), თუნჯაი (ჯონსონი 85), იაკუბუ
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნელსონი, ოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი (მოკოენა 90), პედერსენი, სევიჯი, მაკარტი (სანტა კრუზი 60), რობერტსი (დერბიშირი 78)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: უიტერი, ბოატენგი, დაუნინგი, პედერსენი, სამბა, სევიჯი, დერბიშირი
მსაჯი: მარინერი
25 058 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ჩოპრა (90)
სანდერლენდი: გორდონი, მაკშეინი, ნოსუორთი, ედვარდსი, ეტუჰუ, რიჩარდსონი (კოლინზი 72), ვოლესი, ვაითჰედი, მერფი, სტოკსი (ჩოპრა 72), იორკი (მილერი 57)
მწვრთნელი: როი კინი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, გარდნერი, კაბული, სტალტარი, ჯენასი, მალბრანკი, ტაინიო (დ. ბენტი 59), ზოკორა (ჰედლსტოუნი 87), ბერბატოვი (დეფო 77), რობი კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ვაითჰედი, ზოკორა
მსაჯი: ვაილი
43 967 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ფულემი**

0:1 ჰილი (1), 1:1 ვან პერსი (84პ), 2:1 გლები (90)
არსენალი: ლემანი, ტურე, სანა, გალასი, კლიში, ებუე (უოლკოტი 62), ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (ბენდტნერი 76), გლები, ვან პერსი (სონგ ბილონგი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ფულემი: უორნერი, ბერდი, ბოკანეგრა, ნაითი, კონჩესკი, დევისი, სმერტინი (დიოპი 72), დეივისი, ბუაზა (დემპსი 46), ჰილი (კამარა 63), მაკბრაიდი
მწვრთნელი: ლორი სანჩესი
გაფრთხილება: უორნერი, ბოკენეგრა, სმერტინი, ფლამინი
მსაჯი: დაუდი
60 093 მაყურებელი

**ჩელსი 3:2 ბირმინგემი**

0:1 ფორსელი (16), 1:1 პიზარო (19), 2:1 მალუდა (32), 2:2 კაპო (37), 3:2 ესიენი (51)
ჩელსი: ჩეხი, ჯონსონი, ეშლი კოული, კარვალიუ, ესიენი (ობი მიკელი 70), ლამპარდი, ბენ ჰაიმი, კალუ, მალუდა (სიდველი 84), პიზარო (დროგბა 65), შ. რაიტ-ფილიპსი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ბირმინგემი: დოილი, კელი, რიჯველი, ლარსონი, მაკშეფრეი (ჯერომი 70), ნაფტი (დე რიდერი 76), კედრუ (პარნაბი 52), ჯურუ, კაპო, მუამბა, ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ლარსონი, ესიენი, კარვალიუ
მსაჯი: ბენეტი
41 590 მაყურებელი

**მანჩესტერი 0:0 რედინგი**

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი (ფლეტჩერი 77), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი (ოშე 57), კ. რონალდო, სქოულზი, კარიკი, ევრა, გიგზი, რუნი (ნანი 46)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
რედინგი: ჰანემანი, დე ლა კრუზი, ინგიმარსონი, დაბერი, შორი, მარტი, კი-ჰეიონი (ოსტერი 57), ჰარპერი, გუნარსონი, ჰანტი (ბიკეი 87), დოილი (კიტსონი 72)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: კი-ჰეიონი, ოსტერი
გაძევება: კიტსონი (73)
მსაჯი: სტილსი
75 655 მაყურებელი

# ბებერი რეკორდი ჩელსიმ ჩაყლაპა


AFP

**უგონო** ბენი მაკარტი ჰოსპიტალში გააქანეს, რონალდო ბიანკიმ, როკე სანტა კრუზმა და ჯონ უტაკამ სადებიუტო მატჩებში გაიტანეს, როი კინი კი მწვრთნელად და გამარჯვებით დაბრუნდა პრემიერლიგაში.

„მიდლსბრო" — „ბლექბერნის" მე-60 წუთზე სტუმარი მაკარტი და მასპინძელი კრის რიგოტი თავებით შეასკდნენ. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი ქანგბადის ბალიშით წაიყვანეს საავადმყოფოში და იმ დღესვე მოაფერიანეს.

მაკარტის ნაცვლად შესულმა სანტა კრუზმა დევიდ ბენტლის პასით გაათანაბრა, მერე კი დერბიშირიმ საჯარიმოს ხაზიდან შეასრიალა ბურთი კარში. მოკლედ, მაკარტის ტრავმამ უშველა „ბლექბერნს", რომელიც სტიუარტ დაუნინგის გოლით აგებდა.

„შეცვლას არ ვაპირებდი, მაგრამ იძულებითმა ცვლილებამ გაამართლა. მოედანზე შესვლიდან ერთ წუთში სანტა კრუზმაც შეაგდო და დერბიშირმაც" — ამბობდა მარკ ჰიუზი.

„ბოლო წუთზე გატანილი გოლებით ბევრ მატჩში ვიმარჯვეთ წინა სეზონში და ვიმედოვნებ, რომ კიდევ უფრო მეტს მოვიგებთ — თქვა პრემიერლიგის დებიუტანტმა მწვრთნელმა როი კინმა — ბიჭებმა ბოლომდე და გულიანად იბრძოლეს, ამიტომაც იმსახურებდნენ გამარჯვებას. ფეხბურთის მატჩის მოგებით გამოწვეულ სიხარულის გრძნობას მსოფლიოში ვერაფერი შეედრება."

კინის „სანდერლენდმა" მაიკლ ჩოპრას გოლით სძლია „ტოტენჰემს" და ისეთი დებიუტი გამოუვიდა, უკეთესს ვერც ინატრებდა. ჩოპრას სამი მცველი მივარდა, მაგრამ მაინც მოახერხა გატანა.

ლონდონში კი სვენ გორან ერიკსონის დებიუტი შედგა და მისმა „მანჩესტერ სიტიმ" უტევესოდ დარჩენილ „ვესტ ჰემს" სძლია. ცხრა მილიონ გირვანქად ნაყიდმა როლანდო ბიანკიმ ელანოს პასით გახსნა ანგარიში.

„ჩვენ საუცხოო ფეხბურთი ვითამაშეთ — განაცხადა შვედმა — სეზონის წინ „ვალენსიასთან" ამხანაგურ მატჩში ბიანკიმ და ელანომ კარგად ააწყვეს და, ვფიქრობ, რომ მალე უკეთესად შეთამაშდებიან."

შეცვლაზე შესულმა ჯოვანიმ მეორე შეაგდო და სიტელებმა სამი ქულა წაიღეს.

სემ ალარდაისმა „ნიუკასლით" მოუგო ყოფილ გუნდ „ბოლტონს" და თან ფილ გარტსაიდს გაჰკრა კბილი. „ბოლტონელთა" პატრონს უთქვამს, ალარდაისის მოსაწყენი ფეხბურთი ჩემი კლუბის ქომაგებს ყელში ამოუვიდათ და ამიტომაც გავათავისუფლეთო.

„გარტსაიდს რალაცები ულაპარაკია ჩემზე და არ მესიამოვნა — განაცხადა ალარდაისმა — მაგრამ მე საქმით ვამტკიცებ, რომ ძლიერი ვარ. გამარჯვებით ყველას ვუპასუხე. „ბოლტონი" გუნდად ვაქციე და არ მესმის, რას მემდურის."

„ნიუკასლმა" თექვსმეტ წუთში დაამთავრა საქმე ობინა ნზოგბიას ერთი და ობაფემი მარტინსის ორი გოლით, რასაც „ბოლტონმა" მეორე ტაიმში უპასუხა.

„ლივერპულს" სტივენ ჯერარდის საჯარიმო დარტყმამ მოუტანა სამი ქულა ბირმინგემში, სადაც მასპინძელმა მარტინ ლაურსენმა საუცხოო გოლი გაიტანა საკუთარ კარში. ჯერარდმა ბექემივით ჩაახვია ბურთი მარჯვენა მაღალ კუთხეში. „ასტონ ვილას" მწვრთნელ მარტინ ონილის აზრით, კი, მსაჯს ეს საჯარიმო არ უნდა დაენიშნა.

„ლივერპული" ვილელმა ლაურსენმა დააწინაურა, რომელმაც ბურთის მოგერიება სცადა და უძლიერესი დარტყმით შეაგდო საკუთარ კარში. დამხვდურებმა მეორე ტაიმის ბოლოს მაგრად შეუტიეს და პენალტიც მოინაგრეს, მაგრამ ჯერარდმა იყოჩაღა და ნამატჩევს ხუმრობდა: „ამიერიდან საჯარიმოები მე უნდა შევასრულო! ხომ ნახეს ბიჭებმა, რომ მათზე უკეთესად ვურტყამ".

ლივერპულელზე არანაკლებ კარგად დაარტყა ევერტონელმა ლეონ ოსმანმა „უიგანთან" მატჩში. მან თავით გადაუგდო ბურთი მეკარეს თითქმის საჯარიმოს ხაზიდან და მასპინძლები დააწინაურა. ვიქტორ ანისებემ მეორე ტაიმში ექვსი მეტრიდან შეაგდო, ხოლო ანტუან სიბიერსკიმ ხუთ წუთში გაქვითა— ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

ზედიზედ 64-ე საშინაო მატჩი ჩაატარა „ჩელსიმ" წაუგებლად და „ლივერპულის" რეკორდი მოხსნა, რომელიც 1978-80 წლებში ბობ პეისლის მწვრთნელობისას იშვა. „ჩელსის" ახალწვეულებმა პიზარომ და მალუდამ სადებიუტო შეხვედრაში „ბირმინგემთან" თავი არ შეირცხვინეს. პერუელმა გაათანაბრა, მალუდამ კი დააწინაურა მასპინძლები, მაგრამ გამარჯვებისთვის მაინც ძველი ჩელსელის, მიკაელ ესიენის ფეხი დასჭირდათ.

იენს ლემანის შეცდომამ „ფულემთან" მთელი მატჩის განმავლობაში ანერვიულა „არსენალის" ქომაგები. გერმანელმა მეკარემ 53-ე წამზე ბურთი დევიდ ჰილს მიართვა და სტუმართა ფორვარდმაც შეირგო საჩუქარი. „მეთოფეებმა" ყოველმხრივ სცადეს გათანაბრება და პენალტით მოახერხეს, ხოლო ბოლო წუთზე ალექსანდრ გლებმა სამი ქულა მოუტანა მასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბლექბერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სანდერლენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დერბი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| პორტსმუთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| რედინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბირმინგემი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ფულემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| უიგანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბოლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**II ტური**
14-15 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | სანდერლენდი |
| პორტსმუთი | : | მანჩესტერი |
| რედინგი | : | ჩელსი |
| ტოტენჰემი | : | ევერტონი |
| უიგანი | : | მიდლსბრო |
| ბლექბერნი | : | ასტონ ვილა |
| ფულემი | : | ბოლტონი |
| სიტი | : | დერბი |
| ლივერპული | : | ვესტ ჰემი |
| ნიუკასლი | : | არსენალი |

### ჩემპიონატი
#### I ტური

ბარნსლი — ქოვენთრი 1:4; ლესტერი — ბლექპული 0:1; პრესტონი — ნორვიჩი 0:0; ბრისტოლი — ქუინზ პარკი 2:2; შეფილდი — კოლჩესტერი 2:2; ბარნლი — ვესტ ბრომვიჩი 2:1; საუთჰემპტონი — კრ. პალასი 1:4; კარდიფი — სტოკი 0:1; ჰალი — პლიმუთი 2:3; ჩარლტონი — სკანთორპი 1:1; იფსვიჩი — უენსდი 4:1; ვულვზი — უოტფორდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| კრ. პალასი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ქოვენთრი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| პლიმუთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბარნლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უოტფორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტოკი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბლექპული | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ქუინზ პარკი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბრისტოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| შეფილდი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| კოლჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სკანთორპი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნორვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პრესტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰალი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ვულვზი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ვესტ ბრომვიჩი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კარდიფი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბარნსლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| უენსდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

### პირველი ლიგა
#### I ტური

ჩელტენემი — ჯილინგემი 1:0; ქრიუ — ბრაიტონი 2:1; დონკასტერი — მილუოლი 0:0; ჰადერსფილდი — იოვილი 1:0; ლუტონი — ჰარტლპული 2:1; ნორთჰემპტონი — სუინდონი 1:1; ნოტინგემი — ბორნმუთი 0:0; ოლდემი — სუონსი 2:1; პორტ ვეილი — როვერსი 1:1; საუთენდი — ლეიტონი 1:2; ტრანმერი — ლიდსი 1:2; უოლსოლი — კარლაილი 1:1

### მეორე ლიგა
#### I ტური

ბრედფორდი — მაკლსფილდი 1:1; ბრენტფორდი — მენსფილდი 1:1; ჩესტერი — ჩესტერფილდი 0:0; დარლინგტონი — რექსემი 2:0; გრიმსბი — ნოტსი 1:1; ჰერეფორდი — როტერჰემი 0:0; ლინკოლნი — შრიუსბერი 0:4; მილტონი — ბერი 1:2; პიტერბრო — როჩდეილი 3:0; სტოკპორტი — დაგენემი 1:0; უიკომბი — აკრინგტონი 0:1; მორიკომბი — ბარნეტი 0:0

### კონფერენსლიგა
#### I ტური

ალტრინჩემი — ექსეტერი 1:4; ქროული — სტივენეიჯი 2:1; დროილდენი — სალისბერი 0:0; ფორსლი — სტეფორდი 1:0; გრეივსენდი — ნორსვიჩი 2:1; ჰისტონი — ბარტონი 2:2; კიდერმინსტერი — ალდერშოტი 1:2; ოქსფორდი — ფორესტ გრინი 1:0; ვეიმუთი — ჰალიფაქსი 2:1; უოკინგი — რაშდენი 1:1; იორკი — კემბრიჯი 1:2

# გერმანია

## ბუნდესლიგა I ტური

### შტუტგარტი 2:2 შალკე

